საქართველოს რესპუბლიკა

[illegible] № 204 (1006) ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 1994 წელი. ფასი 100 000 კუპონი

თურქეთი — საქართველო:

ახალი ურთიერთობის მშენებლობის სათავეებთან

სადილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ბატონ სულეიმან დემირელის პატივსაცემად

15 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ სადილი გამართა საქართველოში ოფიციალური ვიზიტად მყოფ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს. სადილზე ორი სახელმწიფოს მეთაურებმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

ეს ბატონ დემირელის მეორე ვიზიტი გახლავთ. მე უკვე ვთქვი, რომ თურქეთსა და საქართველოს საუკუნეობრივი ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებს. და ეს პირველია იმ მრავალი საუკუნის განმავლობაში, როდესაც თურქეთის სახელმწიფოს მეთაური ესტუმრა საქართველოს.

ისტორიას იმიტომ შევეხე, რომ ჩვენ ღრმად ვსწავლობთ წარსულს, რათა მისი გაკვეთილები აწმყოსა და მომავლის შენებაში დაგვეხმაროს და ბედნიერი ხვალინდელი დღე ვაშენოთ.

თქვენი მასპინძელია ქართველი ხალხი, რომელსაც ახლა ძალიან უჭირს, მაგრამ, რომელმაც უკვე გაიარა წრეები, სისხლისღვრის, სამოქალაქო ომის საშინელებანი, თავისუფლდება ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპებისაგან, ზურგი შეაქცია დემაგოგებს, ცრუპატრიოტებს და ცრუმესიებს და უდიდესი მოთმინებით, გმირული სულისკვეთებით აშენებს ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს.

არც თქვენ ქვეყანას უვლია ია-ვარდით მოფენილი გზით, მანაც არაერთი ქარტეხილი გადაიტანა დემოკრატიისა და აღორძინების გზაზე და, მე ვიტყოდი, სასწაულებრივი ტემპები განავითარა ახალი ეკონომიკის, ახალი კულტურის, ახალი სულიერების მშენებლობაში, განსაკუთრებით, ბოლო წლებში, თქვენი წარმატებები ჩვენ გვისახავს იმედს, რომ მრავალი განსაცდელის მიუხედავად, ჩვენც გავივლით ჩვენს გასავლელს და დავიკავებთ ისტორიის მიერ საქართველოსთვის განკუთვნილ ნიშანს. სწორედ ასე გვეწინასწარმეტყველეთ თქვენს შესანიშნავ გამოსვლაში აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის ცენტრში.

გულწრფელად მინდა გითხრათ: ჩვენ, ქართველები ვამაყობთ თქვენი წინსვლით; მივესალმებით ჩვენი დიდი მეზობლის სულ უფრო მზარდ როლს საყოველთაო მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ იმ რეგიონისათვის, რომელიც ბოლო წლებში ათორიაქებული და შეძრწუნებულია რეაქციული ძალების მიერ თავსმოხვეული ომებით, კონფლიქტებით და არეულობით.

გულით მივესალმებით რა თურქი ხალხის უზარმაზარ მიღწევებს, ისიც მინდა გითხრათ, რომ გავხდით რა მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, ქართველები ხელცარიელი არ შევსულვართ ხალხთა ამ დიდ ოჯახში. ქართული აზროვნება განივთებული მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, თუნდაც პოლიტიკაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სიმაღლეზეა და ეს არის იმის გარანტია, რომ ჩვენი მეგობრების მხარდაჭერით და დახმარებით მთელ მსოფლიოში საქართველო ისტორიულად მოკლე დროში გახდება ბედნიერი და აყვავებული ქვეყანა.

სამწუხაროდ, ჩვენ მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ. უამრავი მსხვერპლი გავიღეთ, დღევანდელ თაობებს წინაპართა მრავალი ცოდვის მონანიებაც უხდებათ და გამოსწორებაც.

მარტო ორ მოვლენას დავასახელებდი, რომლებმაც ღრმა ჭრილობა მიაყენა ყველა თაობის ადამიანებს. ეს იყო 1930-იანი წლების ქარტეხილები, რეპრესიები, ქვეყნის საუკეთესო, მოაზროვნე ნაწილი რომ შეიწირა.

ამ დღეებში სრულდება 50 წლისთავი ჩვენი ძმების, სამხრეთ საქართველოს, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ბარბაროსული დეპორტაციიდან, რაც მაშინდელმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა განახორციელა და რაც ზნეობრივად მიუღებელი და შეურაცხმყოფელია ჩვენი ქვეყნისათვის.

ისიც მინდა გითხრათ, რომ ოთხმოციან წლებში მე გახლდით ერთ-ერთი ინიციატორი დეპორტირებულთა დაბრუნებისა, ათეულობით ოჯახი დასახლდა თავის ისტორიულ სამშობლოში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პროცესი შეწყდა საქართველოს ხელისუფლებაში მოსული მაშინდელი ლიდერების მიერ, ხოლო ჩამოსახლებულნი ისევ განდევნეს.

ისტორიული უსამართლობა გამოსწორებას მოითხოვს და მე მჯერა, რომ ქვეყანა სულს მოითქვამს, ეკონომიკურად მოძლიერდება და ჩვენი მოძმენიც გეგმაზომიერად, ეტაპობრივად დაბრუნდებიან და თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალებისადმი ერთგულ საქართველოში ამგვარი უსამართლობა აღარასოდეს განმეორდება.

ბატონო პრეზიდენტო!

დღეს ჩვენ ახალ მსოფლიოში გვიწევს ცხოვრება, დავიწყებას მიეცა ცივი ომი, ბიპოლარული სამყარო, გამალებული შეიარაღება და საზარელი შიში ბირთვული ხანძრისა. გამოთავისუფლდა ვეებერთელა სახსრები, რომლებიც გამალებულ შეიარაღებაზე იხარჯებოდა. ეს იყო უდიდესი რევოლუცია ისტორიაში.

და მაინც, მსოფლიო ჯერ არ ქცეულა იმ ოცნების სამყაროდ, სადაც ჰარმონია და სიყვარულის კანონები განსაზღვრავენ ადამიანთა თანაცხოვრების წესებს.

წარსულმა სიძულვილის დიქტატურის ღრმა ფესვები დაგვიტოვა და მათი ამოძირკვა თუ არ მოხერხდა, ვინ იცის, რა განსაცდელი ელოდება კაცობრიობას, მათ შორის, ჩვენს ხალხებს. ერთი მაგალითი იმისა, თუ რა ყლორტები ამოიცენდა სიძულვილის ფესვებზე — აფხაზეთია; ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ ცივი ომის დამთავრების შემდეგ, გარეშე თუ შინაური რეაქციული ძალების მონაწილეობით, კბილებამდე შეიარაღებული დაქირავებულები მშობლიური მიწიდან გააძევებდნენ 300 ათასამდე მკვიდრს, დახვრეტდნენ ასობით და ათასობით ადამიანს, პოლიტიკურ მოღვაწეს, ხელოვანს, ჟურნალისტს, მსახიობს... უბედურება ის არის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს არ ჰყოფნით გამბედაობა, გენოციდს გენოციდი დაარქვან, ეთნოწმენდას — ეთნოწმენდა, არ შესწევთ ძალა და უნარი აღკვეთონ მეოცე საუკუნის ეს ბარბაროსული აქტები. ჩვენ ვიდექით და ვდგავართ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოზიციებზე, არაერთხელ მითქვამს და დღესაც ვადასტურებ — ქართველები და აფხაზები, საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ და კვლავაც იცხოვრებენ ერთად საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მოიწონა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეთაურების გადაწყვეტილება აფხაზეთში სამშვიდობო მისიის რუსეთისათვის დაკისრების შესახებ. მჯერა, რომ ჩვენი დიდი მეზობელი თავისი ისტორიული მისიის სიმაღლეზე იქნება, ჩვენ მადლობელი ვართ თურქეთის მთავრობისა, რომელმაც გადაწყვიტა, თავისი მეთვალყურეები გამოგზავნოს კონფლიქტის ზონაში.

და საერთოდ, მინდოდა მეთქვა, რომ ურთიერთგაგებისა და ინტერესთა გათვალისწინების იმ ატმოსფეროზე, რომელიც კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს ორ დიდ სახელმწიფოს, რუსეთსა და თურქეთს შორის, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩვენს რეგიონშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ღრმად მწამს, რომ მომავალი საუკუნე ინტეგრაციის საუკუნე იქნება. ერთ-ერთი ინიციატორი რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრირებისა, თქვენი ქვეყანაა, მხედველობაში მაქვს შავიზღვისპირეთის ეკონომიკური ალიანსი. ეს დასაწყისია, რეგიონალურ ინტეგრაციულ პროცესებს დიდი მომავალი აქვს, სწორედ ეს გამოცდილება მიიყვანს კაცობრიობას საერთო პლანეტარულ [illegible]

ბატონო პრეზიდენტო, მე ზემოთ ვთქვი, რომ თურქეთმა უდიდეს შედეგებს მიაღწია ბოლო წლებში. ერთი უმთავრესი არქიტექტორი შენების ამ უმშვენიერესი პროცესებისა სწორედ თქვენ ბრძანდებით.

თქვენ დგახართ საქართველოსა და თურქეთის მეგობრობის სათავეებთან ისევე, როგორც თქვენი ახალი ურთიერთობის მშენებლობის სათავეებთან სხვა სახელმწიფოთა მიმართ.

მინდა ჩემი ხალხის, საქართველოს ყველა მოქალაქის სახელით მადლობა გითხრათ დახმარების ძმური ხელისათვის, რომელიც თქვენ არაერთხელ გამოგიწვდიათ, გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს მხარდაჭერისათვის.

მინდა შევსვა სადღეგრძელო იმ ადამიანისა, რომლის ცხოვრებაც ისეთივე მშფოთვარეა და სახელოვანი, როგორც მისი ქვეყნის ისტორია, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე შეალია თავისი ხალხის კეთილდღეობას, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის დამყარებას რეგიონის ქვეყნებთან და მრავალ სხვა სასიკეთო საქმეს, რომელმაც მას მსოფლიო აღიარება და პატივისცემა მოუპოვა.

სულ ცოტა ხნის წინათ, ბატონ სულეიმან დემირელს 70 წელი შეუსრულდა. ესაა დიდი პოლიტიკოსის მიერ სახელოვნად განვლილი გზა.

ქართველმა მხატვრებმა მისი პორტრეტი შექმნეს, დახატეს ისე, როგორც ისინი ხედავენ ქართველი ხალხის დიდ მეგობარს და დღევანდელობის გამოჩენილ მოღვაწეს. თქვენი პორტრეტის ავტორი გახლავთ ცნობილი ქართველი ხელოვანი გიორგი გეგეჭკორი.

ვულოცავ რა სახელოვან იუბილეს ქართულ მიწაზე, მინდა შემოგთავაზოთ ბატონი პრეზიდენტის სადღეგრძელო, ბედნიერება და აყვავება ვუსურვო მის დიდ ქვეყანას, მასთან ერთად მინდა ვადღეგრძელო ყველა მისი თანამგზავრი, — საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სახელმწიფო მოღვაწეები, ყველასათვის კარგად ნაცნობი ბიზნესმენები, რომელთაც განსაკუთრებული სიტყვა უნდა თქვან ახალ ურთიერთობათა მშენებლობაში.

სულეიმან დემირელის სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ!
ძვირფასო სტუმრებო!

უღრმეს კმაყოფილებას ვგრძნობ იმის გამო, რომ კვლავ შევხვდი ჩვენი მოძმე და მეგობარი საქართველოს სახელმწიფოსა და პარლამენტის მეთაურს, პატივცემულ ედუარდ შევარდნაძეს და სხვა ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ თბილისში კვლავ ჩამოსვლამ განსაკუთრებული ბედნიერება მომანიჭა. მჯერა, რომ თუნდაც ეს ხანმოკლე ვიზიტი ძალიან ნაყოფიერი იქნება ჩვენი ქვეყნებისათვის.

1983 წლის ივლისის თვეში, როგორც პრემიერ-მინისტრი, ვეწვიე საქართველოს და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ტკბილი მოგონებანი კვლავ ცოცხლობდნენ ჩემს გულში, დღევანდელმა გულთბილმა დახვედრამ ძალიან აგვაღელვა. სიამოვნებას მანიჭებს იმის აღნიშვნაც, რომ თურქეთიდან ჩვენ ჩამოვიტანეთ 60 მილიონი თქვენი ძმის გულის სითბო,

თურქეთი ის ქვეყანაა, რომელსაც საქართველოსთან ისტორიული და გეოგრაფიული სიახლოვე აკავშირებს. ორ ხალხს შორის არსებული კავშირების ხანგრძლივი დროით შეწყვეტამ მათი წაშლა ვერ შეძლო. ამრიგად, ჩვენი კავშირების სიძლიერე ისტორიულად დადასტურებულია, ჩვენ ერთი რეგიონის ადამიანები ვართ. ახლო მეზობლობის, ნათესაობისა და ერთი საზღვრის გამო ჩვენს ხალხებს მრავალი ერთნაირი ტრადიცია და ადათ-ჩვევები აქვთ. ერთნაირ კერძებს შევექცევით, ერთნაირ სასმელს ვსვამთ, ერთი ჰაერით ვსუნთქავთ, ერთი მთანი დაგვცქერიან ზემოდან და ერთი მინდორ-ველი გვაქვს.

ერთ დროს ჩვენს შორის კედლად აღმართული საზღვრის კვლავ გახსნამ საშუალება მისცა მრავალ ადამიანს, თურქეთშიც და საქართველოშიც კვლავ შეხვედროდნენ თავის ნათესავებს, კვლავ დაახლოებოდნენ ერთმანეთს. ამ ფაქტორს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მსოფლიოს ახალი წყობის შექმნის საქმეში ჩემი ძვირფასი მეგობრის შევარდნაძის თავგანწირვას და მისი ისტორიული მისიის მნიშვნელობას, თქვენი თანდასწრებით რომ ვაფასებ, დიდ სიამაყეს ვგრძნობ.

პატივცემულო შევარდნაძე, უდავო ჭეშმარიტებაა ის ფაქტი, რომ მთელი თქვენი პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე, თქვენს მიერ გამოვლენილი დიდი სახელმწიფო მოღვაწისათვის დამახასიათებელი თვისებებით. თქვენ ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მოწინავე და ისტორიის მიერ ყოველთვის პატივისცემით მოსახსენიებელი ლიდერი ბრძანდებით.

პატივცემულო პრეზიდენტო,
ძვირფასო სტუმრებო,

თურქეთი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ რაც შეიძლება მალე გადავულახოთ გარდამავალი პერიოდის სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიძნელეები, რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ სტაბილიზაციისათვის, არაფერი არ არის იმაზე ბუნებრივი, ვიდრე ის, რომ ორი ერთმანეთის მეზობელი და მეგობარი ქვეყანა, რომელთა ხალხებიც ასე ახლოს არიან ერთმანეთთან, გაჭირვების დროს ერთმანეთს დაეხმარონ. მჯერა, რომ გამრჯე ქართველი ხალხი თავისი ჯანსაღი აზრისა და თავგანწირვის წყალობით, მალე დააღწევს თავს ამ მძიმე მდგომარეობას.

შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თურქეთი ხა- თანადგომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დახმარებას კვლავ გაუწევს საქართველოს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, რათა მან თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს რეგიონში. ამის გამო, ძალიან მნიშვნელოვანია ორ ქვეყანას შორის ორმხრივ ნდობასა და ინტერესებზე დაფუძნებული და გულთბილ ვითარებაში მომზადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებათა განხორციელება. ამ ურთიერთთანამშრომლობის გაცნობიერება, რომელიც ჩვენს ახლო მეზობელთან, ჩვენს ძმასა და მეგობარ ქვეყანასთან საქართველოსთან — ორმხრივი პატივისცემის პრინციპებს ეფუძნება, ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბების საჭიროებას ქმნის, დიდ კმაყოფილებას ვგრძნობ, აგრეთვე იმის გამო, რომ მე და მისი აღმატებულება, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის უფრო მრავალმხრივი განვითარების საქმეშიც თანამოაზრეები ვართ.

თუ გავითვალისწინებთ, ამჟამად კავკასიის რეგიონში არსებულ არასტაბილურ გარემოცვას, უფრო გასაგები გახდება, რომ ჩვენ დაინტერესებული ვართ რეგიონში ძლიერი, სტაბილური, პლურალისტური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამცველი საქართველოს არსებობით.

ახლად ჩამოყალიბებულ მსოფლიო გარემოცვაში საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის გამო მისი მნიშვნელობა უფრო იზრდება. საქართველო წონასწორობის აუცილებელი ელემენტია კავკასიაში. ამ თვალსაზრისით, თურქეთს, რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობის და სტაბილიზაციის დამყარების მიზნით, სურს აღმოსავლეთ საზღვარზე საქართველოს სახით ჰყავდეს დამოუკიდებელი და ტერიტორიულად მთლიანი, ძლიერი სახელმწიფო. თურქეთი ამ ფაქტით დიდ სიმშვიდეს იგრძნობს.

როგორც ორი მეგობარი და მოძმე ქვეყანა, სამხრეთ კავკასიის ფუნდამენტური პრობლემების გადაჭრის ძიების გზებშიც თანამოაზრეები ვართ. ჩვენ გვწამს, რომ ყველა პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მშვიდობიანი მეთოდებით, სტაბილიზაციის უზრუნველყოფის ფორმით, ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და საერთაშორისო დოკუმენტებში ასახული ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების ფარგლებში.

საქართველოს წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა და მთლიანად კავკასიაში სიმშვიდისა და სტაბილიზაციის დამყარება მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის, თურქეთის დახმარებით, შესაძლებელი არ არის. უდავოდ, ყველა რეგიონის ქვეყანას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია. დასავლეთის ყველა ქვეყანა უნდა დაინტერესდეს ამ რეგიონით, მხარი დაუჭიროს მას და ამრიგად საქართველოს წინაშე თავისი მორალური მოვალეობა მოიხადოს.

ჩემი ამ ხანმოკლე ვიზიტის დროს, ჩემს მეგობარ შევარდნაძესთან და ძვირფასი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად განვიხილეთ მსოფლიოს წინაშე მდგომი პრობლემები და ჩვენი ურთიერთობა, რომელიც სისტემატურად ვითარდება და მრავალფეროვანი ხდება, ვრცლად და გულღიად ერთმანეთს რჩევა მივეცით. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ მრავალ რეგიონულ და საერთაშორისო საკითხზე ერთნაირი შეხედულებანი გვაქვს.

გულმხურვალედ მწამს, რომ თურქეთი და საქართველო, რომლებსაც, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი პუნქტები უკავიათ, კიდევ უფრო გააღრმავებენ ორმხრივ ინტერესებზე, სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებულ ჯანსაღ თანამშრომლობას.

ჩვენს შორის საზღვარი თანამშრომლობისა და მეგობრობის ნდობის ხაზია. ერთ დღეს, ისევე, როგორც ევროპაშია გათვალისწინებული, მსოფლიოში მიმდინარე დინამიკური პროცესების შედეგად შესაძლოა ეს საზღვარიც წაიშალოს.

ამ ჭიქით ვადღეგრძელებ ძმობისა და მშვიდობის საფუძველზე დამეგობრებულ თურქეთსა და საქართველოს, თურქი და ქართველი ხალხების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, ვადღეგრძელებ ჩემს მეგობარს, პატივცემულ შევარდნაძეს და ვუსურვებ მას ჯანმრთელობასა და წარმატებებს.

* * *

იმავე დღეს, საღამოთი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სამშობლოში გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში ბატონი სულეიმან დემირელი გააცილეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, სხვა ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლებმა.

ბატონი სულეიმან დემირელი აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში

15 ნოემბერს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი ეწვია აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს, რომლის პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ქართველი ხალხის სახელით გულითადად მიესალმა საპატიო სტუმარს და მადლობა გადაუხადა საქართველოში სტუმრობისა და ცენტრში მობრძანებისათვის.

— აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი ახალგაზრდა ინსტიტუტია, — აღნიშნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა. — და ბატონი დემირელი მისი ერთ-ერთი პირველი საპატიო წევრი გახდა. მას სიმბოლურად შეიძლება ერთ-ერთი დამფუძნებელიც ვუწოდოთ.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა ის დიდი და მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ბატონი დემირელი ასრულებს მსოფლიო პოლიტიკასა და დიპლომატიაში, მისი განსაკუთრებული დამსახურება თურქი ხალხისა და თურქეთის რესპუბლიკის წინაშე.

— ცნობილია, რომ თურქეთი და საქართველო, საერთოდ, კავკასია, დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელი ერთ-ერთი ხიდის როლს ასრულებს, — თქვა შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — და ამაში იგულისხმება არა მარტო გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული როლიც. ბატონ დემირელის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი შედეგი ისიც არის, რომ მან ძალ-ღონე და ენერგია არ დაიშურა, რომ მისი სამშობლო ცივილიზებული, დემოკრატიული, სეკულარული და მაღალგანვითარებული სახელმწიფო გამხდარიყო, რომელშიც ჰარმონიულად აისახა ევროპული და აზიური ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვრები.

ბატონი დემირელი, აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, მრავალი მსოფლიო მასშტაბის ინიციატივის ავტორია. ერთ-ერთია ის, რომ ჩვენ უკვე ვცხოვრობთ და ერთად ვსაქმიანობთ შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური ალიანსის პირობებში, ხოლო მომავალი წელი გაეროს მიერ მსოფლიო ტოლერანტობის წლად სწორედ თურქეთისა და მისი პრეზიდენტის ინიციატივით არის გამოცხადებული.

— ჩვენ დღეს უაღრესად საინტერესო და სასარგებლო საუბრები გვქონდა, — თქვა შემდეგ ბატონმა ე. შევარდნაძემ. — მადლობას მოვახსენებ პრეზიდენტს იმისათვის, რომ იგი საქართველოსა და თურქეთის მეგობრული ურთიერთობის სათავეებთან დგას. ვამაყობ, რომ ბატონ პრეზიდენტთან მაკავშირებს გულთბილი, ადამიანური და მეგობრული დამოკიდებულება, რაც ვეხმარება ჩვენი ხალხების ურთიერთობის ამავე პრინციპებით ჩამოყალიბებაში.

საპატიო სტუმარს მიესალმნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ნოდარ ჯანაშია და საქართველოს სახალხო მხატვარი თემურ გოცაძე, რომელმაც თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ქართული კულტურის მოღვაწეთა სახელით საჩუქრად გადასცა საქართველოს სახალხო მხატვრის ედმონდ კალანდაძის ფერწერული ტილო „გურიის პეიზაჟი“.

შემდეგ მსოფლიო და რეგიონალური პოლიტიკის საკითხებზე მოხსენება გააკეთა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა. შეეხო რა ყოფილი იუგოსლავიის, კავკასიისა და აფრიკის ტრაგედიებს, მან აღნიშნა, რომ ამ ახალ გარემოცვაში მსოფლიოს მომავალი მშვიდობა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერო, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი და ნატო, ცდილობენ კიდევ უფრო აქტიურონ სტაბილიზაციის მიღწევისა და დაცვის საქმეში. რაც შეეხება თურქეთის საგარეო პოლიტიკას, იგი ნაკარნახევია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, რადგან, როგორც ცნობილია მოქცეულია იმ რეგიონის ცენტრში, რომელიც აკავშირებს ევროპასა და აზიას, შავ ზღვასა და კავკასიას ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკასაც კი, სადაც ისლამი და ქრისტიანობა, სეკულარიზმი და ფუნდამენტალიზმი, დემოკრატია და ტოტალიტარიზმი პირისპირ დგანან, და, ცხადია, რომ მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა არა მხოლოდ ამ რეგიონისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ მთელი პლანეტის კეთილდღეობისთვისაც.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი თავის მოხსენებაში ასევე შეეხო ურთიერთობას რუსეთთან და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთსა და რუსეთს ეკისრებათ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების ისტორიული მისია. აქვე მან ყურადღება მიაპყრო ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ, დღეს უკვე ახალ, დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან პოლიტიკური თუ ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობას. შეეხო რა აზერბაიჯანისა და სომხეთის კონფლიქტს მთიანი ყარაბაღის თაობაზე, მან თქვა, რომ იგი უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობაზე.

ბატონმა დემირელმა ილაპარაკა საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობის დიდ მნიშვნელობაზე და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო გადალახავს ამჟამინდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებს. — იმ სიბრძნისა და გამოცდილების წყალობით, — ხაზგასმით აღნიშნა საპატიო სტუმარმა, — რომელიც თქვენი სახელმწიფოს ლიდერს, ჩემს მეგობარს ბატონ შევარდნაძეს აქვს. ეს ამოცანა არ უნდა იყოს ძნელი გადასაწყვეტი. თავის მხრივ, თურქეთი ყველაფერს იღონებს საქართველოსათვის, რომელთანაც მას მეზობლობა, ნათესაობა და ისტორიულად განმტკიცებული მრავალი ფასეულობა აკავშირებს, რათა თქვენმა ქვეყანამ მიაღწიოს კეთილდღეობის იმ დონეს, რომელსაც ჭეშმარიტად იმსახურებს. ორი ქვეყნის თანამშრომლობით ჩვენ შევძლებთ ერთად შევქმნათ უფრო სტაბილური და უსაფრთხო რეგიონი.

ბატონმა პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ პოლიტიკური კონსულტაციების დიდ მნიშვნელობას, რომლებიც გაიმართა მასა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს შორის და აღნიშნა, რომ ეს კონსულტაციები სწორედ ამ დიდი მიზნის განხორციელებას ემსახურება.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტის უდიდესი მნიშვნელობა და დასძინა, რომ ათიოდე წლის წინანდელი რეალობის ფონზე ეს შეხვედრა და, კერძოდ, ბატონ დემირელის თანამედროვე მსოფლიო პრობლემების გლობალური ანალიზისა და დასკვნების შემცველი მოხსენება აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის ცენტრში ჭეშმარიტი სასწაულის ტოლფასია.

— ვირწმუნოთ, რომ მოხდება სხვა სასწაულიც, — თქვა მან, — საბოლოოდ დადნება პოლიტიკური გამყინვარების ნარჩენები. მსოფლიო იცხოვრებს ჰუმანიზმისა და სიკეთის კანონებით და ასეთ მსოფლიოში საქართველო, თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი ბედნიერი ქვეყნები და მეზობლები იქნებიან.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ამსახველ დანარჩენ მასალებს შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ამოქმედდეს 1995 წლის 1 მარტიდან.

2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებამდე კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ექვემდებარებიან ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე.

3. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოები 1996 წლის 1 იანვრამდე გარდაიქმნებიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ამ კანონის 2.4 მუხლის შესაბამისად ექვემდებარებიან სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას.

4. ამ დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში საწარმოთა მიმართ გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული წესები.

5. სახელმწიფო საწარმოების პრივატიზების შემთხვევაში, გამოიყენება მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

6. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი;

2. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის „ა“ და „ბ“ პუნქტები, მე-3-5 აბზაცები;

3. „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის მე-10-26-ე მუხლები;

4. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი;

5. „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის მე-2 მუხლი, მე-8 მუხლის I პუნქტი, მე-14-18 მუხლები;

6. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 7 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

7. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 სექტემბრის № 891 დადგენილება „სახელმწიფო საწარმოთა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

8. „ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 31 აგვისტოს № 876 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების მე-3-13 პუნქტები;

9. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 12 სექტემბრის № 990 დადგენილება „ინდივიდუალური მეწარმეობისა და ინდივიდუალური საწარმოს შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

10. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 მარტის № 183 დადგენილება „ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოს შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

11. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 27 აპრილის № 336 დადგენილება „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა სხვა კანონქვემდებარე აქტი ან მათი ცალკეული ნორმები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან „მეწარმეთა შესახებ“ კანონს.

8. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1996 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გაითვალისწინოს სასამართლოებში საწარმოთა რეგისტრაციისათვის მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯები.

9. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში მითითებული ყველა საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება დაეკისროს რესპუბლიკურ გაზეთებს „საქართველოს რესპუბლიკას“ და „სვობოდნაია გრუზია“.

10. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს ამ კანონის 5.5 მუხლის „ე“ პუნქტში მითითებული საინფორმაციო ცენტრის მიერ ცნობის დროულად და უსასყიდლოდ გაცემა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ვახტანგ [illegible].

თბილისი, 28 ოქტომბერი, 1994 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

ზამთრის პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაცია-დაწესებულებებში შემცირებული სამუშაო დროის რეჟიმის დაწესების შესახებ

რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტის გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. 1994 წლის 18 ნოემბრიდან, 1995 წლის 1 მარტამდე ერთი საათით შეუმცირდეთ სამუშაო დროის ხანგრძლივობა საბიუჯეტო ორგანიზაცია-დაწესებულებათა მუშაკებს.

2. უფლება მიეცეთ საბიუჯეტო ორგანიზაცია-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და შრომით კოლექტივებთან შეთანხმებით შესვენების ხარჯზე დამატებით ერთი საათით შეამცირონ სამუშაო დროის ხანგრძლივობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ოთარ ფაცაცია.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ

1. ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1.1. ეს კანონი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

1.2. სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა; სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს 2.1 მუხლში გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუ მათი მფლობელი რეგისტრაციაში გატარდება. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც.

მუხლი 2. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. მათი დაფუძნება

2.1. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი.

2.2. ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით.

2.3. საწარმო შეიძლება შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის (სახელმწიფო) ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ არა მხოლოდ ამ კანონის 2.1 მუხლით გათვალისწინებული ფორმით, არამედ შეიძლება იმართებოდეს უშუალოდ ამ ორგანოთა მიერ (სახაზინო საწარმო). ასეთი საწარმო შეადგენს სამეწარმეო მიზნებისათვის განკუთვნილ სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განცალკევებულ ქონებას. ამასთან, ეს საწარმო არის იურიდიული პირი და ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელწოდებით, რომლითაც იგი შეიტანება სამეწარმეო რეესტრში. მათ მიმართ გამოიყენება 1—10, 13, 14.6 და 14.7, 15—19 მუხლები. სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით შეიძლება სახაზინო საწარმოს რეორგანიზაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოებებად ამ კანონის 5.4.3 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, თუკი საწარმო სამეწარმეო რეესტრში უკვე რეგისტრირებულია.

2.4. საწარმო, გარდა კოოპერატივისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით.

2.5. საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, გარდა 2.3 მუხლში გათვალისწინებული საწარმოსი.

თუ რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც.

2.6. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებები, კოოპერატივები და 2.3 მუხლში გათვალისწინებული საწარმოები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს როგორც ფიზიკური პირი.

2.7. საზოგადოების წესდება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. წესდებას ხელს აწერენ საზოგადოების მონაწილენი — პარტნიორები. ხელმოწერა რწმუნებულის მეშვეობით დაიშვება მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის შექმნის დოკუმენტები უნდა შეიცავდეს მე-5 მუხლში მოცემულ სარეგისტრაციო პირობებს. საზოგადოების წესდება შეიძლება შეიცავდეს დამატებით წესებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან არ ხელყოფს სამართლებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებს და არ ცვლის სამეწარმეო საზოგადოებათა ფორმების შესახებ კანონით გათვალისწინებულ დებულებებს.

მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები

3.1. ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის პირადად აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე.

3.2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებზე პასუხს აგებს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.

3.3. საზოგადოების დაფუძნებისას ან საწესდებო კაპიტალის გაზრდისას შესატანი შეიძლება დათქმულ იქნეს და შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით. საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში თანხა აღინიშნება ეროვნული ვალუტით. შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებებში უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა (არაფულადი შესატანის შეფასება). შეტანაზე ვალდებული პარტნიორი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს არაფულადი შესატანის იმ ღირებულებისათვის, რაც ამ ობიექტს რეგისტრაციის მომენტში ჰქონდა; თუ ობიექტის ღირებულება დათქმულ თანხაზე ნაკლებია, მაშინ იგი უნდა შეივსოს ფულით; თუ არაფულადი შესატანის ღირებულება აღემატება დათქმულ თანხას, ზედმეტი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.

შესატანის უკან დაბრუნება კომანდიტურ, შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამისთვის საჭიროა ცვლილების შეტანა საზოგადოების წესდებაში. საწესდებო კაპიტალის შემცირება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში.

3.4. პარტნიორები, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათი შესატანის მოცულობით, შესატანის საბოლოო შეტანამდე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ უშუალოდ 3.2 მუხლის მიხედვით. შესატანის შეტანა არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან, თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები ბოროტად იქნა გამოყენებული. ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება.

2.3. მუხლში გათვალისწინებული საწარმოები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ თავისი განცალკევებული ქონებით. თუ კრედიტორი ვერ დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნებს საწარმოს ქონებიდან, მისი მოთხოვნები კმაყოფილდება შესაბამისი სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ (სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის საწარმოს სუბსიდიური პასუხისმგებლობა).

3.5. შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს.

თუ პარტნიორმა გადააცილა შესატანის შეტანის ვადა, ყოველ პარტნიორს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს მას ამ თანხის გადახდა დამატებითი ვადის მითითებით და გააფრთხილოს იგი საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ. დამატებითი ვადა უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ერთ თვეს.

ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორი, რომელმაც გააჭიანურა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც. ამის შესახებ მას განემარტება წერილობით.

შესატანის შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალზე დანარჩენი პარტნიორები პასუხს აგებენ სოლიდარულად. გარიცხული პარტნიორის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება, ხოლო არაფულადი შესატანის შემთხვევაში იგი შეიცვლება შესაბამისი ფულადი თანხით. პარტნიორის შეუსრულებელი შესატანი უნაწილდებათ სხვა პარტნიორებს, რომელთაც შეაქვთ თავიანთი წილის შესაბამისად.

3.6. საზოგადოების კაპიტალი 3.3 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად შემცირების შემდეგ კვლავ უნდა შეივსოს კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობამდე. თუ შემცირება მოხდება შესატანის დაბრუნების ან შეუტანელი ნაწილის გადახდისაგან გათავისუფლების მიზნით, მაშინ თითოეულ პარტნიორზე დარჩენილი შესატანის თანხა არ შეიძლება იყოს ორმოცდაათი აშშ დოლარის ეკვივალენტზე ნაკლები ეროვნული ვალუტით. საწესდებო კაპიტალის შემცირება იმ შესატანების უკან დაბრუნების გზით იმ შესატანების მიმართ, რომლებიც პარტნიორებს პასუხისმგებლობის მოცულობას განსაზღვრავენ, შეიძლება განხორციელდეს საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციიდან და გამოქვეყნებიდან თორმეტი თვის შემდეგ. ამ წესების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება 57.2 მუხლის ნორმები ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ.

თუ რომელიმე პარტნიორს შესატანი უკან დაუბრუნდება საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებული შემცირების გარეშე, კრედიტორებისთვის ეს დაბრუნებად არ მიიჩნევა. პარტნიორი ვალდებულია საზოგადოებას დაუბრუნოს მიღებული თანხა. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, თუ პარტნიორი გახარჯავს ფულს საზოგადოების სალაროდან და ზარალის შედეგად მისი წილი კაპიტალი შემცირდება გადახდილ შესატანთან შედარებით.

3.7. საზოგადოების უარი ამ კანონით გათვალისწინებულ შესატანებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ბათილია.

3.8. თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ ეს კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს პირადი პასუხისმგებლობისა და კაპიტალის კვოტასთან დაკავშირებით, ანდა, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, თუ სხვაგვარი მოწესრიგება არ იქნება შემოთავაზებული.

3.9. ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება, გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიში არასწორადაა შედგენილი, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება მხოლოდ ამ კანონით შეიზღუდოს, გაფართოება კი შესაძლებელია საზოგადოების წესდებით ან სხვა კანონით.

მუხლი 4. სამეწარმეო რეესტრი

4.1. საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით.

4.2. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ფაქტები ჩაიწერება რეესტრის ფორმულარებში. რეესტრის ფორმულარი მოცემულია ამ კანონის დანართში.

4.3. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს ოფიციალურ რესპუბლიკურ გაზეთში და წერილობით ატყობინებს სტატისტიკის სამსახურის ადგილობრივ ორგანოს. ჩანაწერი ქვეყნდება მთლიანად, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

4.4. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები.

მუხლი 5. რეგისტრაციის პირობები

5.1. რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს, თუ განცხადება რეგისტრაციაზე შესრულებულია მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით. სასამართლო ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება ამ მოთხოვნებს.

5.2. ინდივიდუალური მეწარმე ან პარტნიორები, ისევე როგორც წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ორგანოების შესაძლო წევრები, ვალდებული არიან ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ. ინდივიდუალური მეწარმე და პირები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება, ვალდებული არიან სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ.

სამეწარმეო რეესტრში შეიტანება ასევე 2.3 მუხლით გათვალისწინებული საწარმოები; უნდა აღინიშნოს მათი წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ორგანოების წევრთა სახელი, გვარი, დაბადების წელი და ადგილი, პროფესია და მისამართი. მათ უნდა დატოვონ ასევე ხელმოწერის ის ნიმუშები, რომელთაც ისინი საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ.

განცხადება რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, სასამართლოში დატოვებული ზუსტი ხელმოწერის ნიმუში, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები წარმოდგენილი უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით.

განცხადება შეიტანება სასამართლოში ინდივიდუალური მეწარმის ან საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით.

5.3. თუ საზოგადოების შექმნის მიზნით წარდგენილია არასწორი მონაცემები ან დაფუძნების ხარჯების გამო საზოგადოებას ზარალი მიადგა, მაშინ პარტნიორები, ისევე როგორც საზოგადოების დირექტორები, როგორც სოლიდარული მოვალეები, ვალდებული არიან გადაიხადონ შეუტანელი გადასახდელები, აანაზღაურონ დაფუძნების ხარჯების გადაუხდელობით გამოწვეული, აგრეთვე ამ დროს წარმოშობილი სხვა ზარალი.

5.4. განცხადება უნდა შეიცავდეს:

5.4.1. ყველა საწარმოსათვის:

ა) საფირმო სახელწოდებას (ფირმას);
ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;
გ) ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);
დ) საქმიანობის საგანს;
ე) მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;
ვ) ინდივიდუალური მეწარმის ან ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის (კოოპერატივის შემთხვევაში — არანაკლებ ორის) სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიას და საცხოვრებელ ადგილს;
ზ) წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.

5.4.2. კომანდიტური საზოგადოებისათვის, 5.4.1. მუხლში მოცემულის გარდა, დამატებით საჭიროა მიეთითოს ყოველი კომანდიტის შესატანის ოდენობა და წარმოდგენილ იქნეს საბუთი, უკვე ვინ რამდენი შეიტანა.

5.4.3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივისათვის, 5.4.1 მუხლში მოცემულის გარდა, დამატებით საჭიროა:
ა) საწესდებო კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შესატანის შესახებ;
ბ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, შესაბამისად წილი;
გ) ყოველი დირექტორის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;
დ) დოკუმენტები დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუკი ასეთი არსებობს) წევრების დანიშვნის შესახებ.

5.5. საზოგადოების განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

ა) საზოგადოების წესდება;
ბ) არაფულადი შესატანით დაფუძნებისას — შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი;
გ) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ყველა პირისათვის — შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ მიმართ არ ყოფილა გამოყენებული სასჯელი ქონებრივი დანაშაულისათვის;
დ) შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისათვის — დოკუმენტები დირექტორების დანიშვნის შესახებ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას მისი წევრების დანიშვნის შესახებ.

5.6. 5.4 მუხლითა და 5.2 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება ასევე საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ.

5.7. გაკოტრების შემთხვევაში ან საზოგადოების წესდებაში სასამართლოს მიერ არსებითი ხარვეზების დადგენისას, სასამართლო ვალდებულია მოახდინოს საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია და მიუთითოს საფუძველი.

5.8. თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული. რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის სარჩელის საფუძველზე.

რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს არ ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და 5.8 მუხლში აღნიშნულ პირებს არ განუცხადებიათ ამის შესახებ.

5.9. სასამართლო ვალდებულია რეგისტრაცია განახორციელოს აუცილებელი საბუთების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს არ ეცნობება უარის შესახებ, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად.

მუხლი 6. საფირმო სახელწოდება (ფირმა)

6.1. საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო.

6.2. ინდივიდუალური მეწარმე საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს. დამატებები დაიშვება 6.6 მუხლის პირობების დაცვით.

6.3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს) „სპს“-ის დამატებით ან ყველა პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს).

6.4. კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს არანაკლებ ერთი პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის (კომპლემენტარის) გვარსა და სახელს (ან გვარს) „კს“-ის დამატებით.

6.5. პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს და 2.3 მუხლით გათვალისწინებულ საწარმოებს შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით, ან ეს სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი. მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს აღნიშვნას „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“ ანდა დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“ ანდა „რეგისტრირებული კოოპერატივი“ ან „რკ“.

6.6. საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ანდა გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმისა, თუ საქმიანობის მოცულობის ანდა პარტნიორთა ურთიერთობების გამო.

6.7. საფირმო სახელწოდებას დაერთვება დამატებები, თუ ეს საჭიროა სხვა ფირმებისაგან განსასხვავებლად.

6.8. საწარმოს შემძენს შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, თუკი ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმა არიან.

მუხლი 7. რეესტრის საჯაროობა

7.1. ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მონაცემები მათთვის ცნობილი იყო.

7.2. თუ ფაქტები რეგისტრირებული და გამოქვეყნებულია, დასაშვებია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ.

7.3. თუ რეგისტრაციისათვის აუცილებელი ფაქტები არასწორადაა რეგისტრირებული ან გამოქვეყნებული, მესამე პირს შეუძლია იმ პირთან ურთიერთობაში, რომლის საქმეშიც იყო ეს ფაქტები რეგისტრირებული, დაეყრდნოს რეგისტრირებულ ან გამოქვეყნებულ მონაცემებს, თუ იგი ენდობოდა მათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან იცოდა ამ უზუსტობის შესახებ.

7.4. ამ წესების მიხედვით, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ ფილიალთან საქმიან ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ რეგისტრაციასა და გამოქვეყნებას, რომელიც განხორციელებულია ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ საწარმოში, სოლიდარული პასუხისმგებლობისა საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებაში სხვა საწარმოს შეძენის დროს

8.1. ვინც სხვა ინდივიდუალური საწარმო შეიძინა და უძღვება მას ადრინდელი საფირმო სახელწოდებით სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, პასუხს აგებს ადრინდელი მფლობელის საწარმოს საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის.

სხვაგვარ შეთანხმებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირისათვის, თუ ეს შეთანხმება შეძენის მომენტში რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში და გამოქვეყნებულია, ან ამის შესახებ ეცნობა მესამე პირს და თუ შეძენის ფასის კალკულაციაში ვალები არაა გათვალისწინებული.

პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს, თუ საწარმო შეადგენდა გამსხვისებლის თითქმის მთელ ქონებას და ამის შესახებ იცოდა შემძენმა, ან მას ეს უნდა სცოდნოდა, თუ საქმიანი ურთიერთობებისათვის საჭირო წინდახედულებას გამოიჩენდა.

8.2. თუ ვინმე პარტნიორად შედის ინდივიდუალურ საწარმოში, ამის შედეგად შექმნილი საზოგადოებაც აგებს პასუხს ადრინდელი მფლობელის ყველა იმ ვალდებულებისათვის, რომლებიც წარმოიშვა მის მიერ დადებული გარიგებიდან. ამ წესის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.

8.3. ინდივიდუალური საწარმოს გამსხვისებელი პასუხს აგებს საწარმოს გადაცემის მომენტში არსებული ყველა ვალდებულებისათვის, ხოლო გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებისას — იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა მათი საფუძვლად არსებული გარიგების მოშლამდე ან გასხვისების შემდეგ მოშლის პირველ შესაძლო ვადამდე.

8.4. თუ სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული ინდივიდუალური საწარმოს საქმიანობას აგრძელებენ მემკვიდრეები, ისინი პასუხს აგებენ სამკვიდროს დამტოვებლის იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს საქმიანობიდან, თუ სამკვიდროს მიღებიდან სამი თვის განმავლობაში არ გააჩერებენ საწარმოს და ადრინდელი საფირმო სახელწოდების გამოყენებით გააგრძელებენ მის საქმიანობას სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ.

8.5. 8.1—8.4. მუხლების წესები მოქმედებს, შესაბამისად, სპს-ის პარტნიორებისა და კს-ის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების მიმართ.

მუხლი 9. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. საკონსულტაციო საბჭო

9.1. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში — ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში — პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში — დირექტორებს.

9.2. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.

9.3. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი პარტნიორის ან დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ აგრეთვე აწესებდეს, რომ ორი დირექტორი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გაუძღვეს საზოგადოებას, ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს ერთად გასწიონ ხელმძღვანელობა.

გარდა ამისა, ამ კანონის შესაბამისად, შესაძლოა საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შეიზღუდოს სამეთვალყურეო ორგანოების ან საზოგადოების კრების აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით.

9.4. 9.1. მუხლში აღნიშნული პირები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

საზოგადოების წესდებით უნდა განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად. იგი შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს წარმომადგენლობისათვის უფლებამოსილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ, სხვებთან თუ პროკურისტებთან ერთად. წარმომადგენლობის სახე და წესი აღინიშნება სამეწარმეო რეესტრში.

9.5. თუ გარიგების კონტრაგენტისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ საზოგადოებას შეუძლია ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობა.

იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ საზოგადოებას, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით.

9.6. 9.1. მუხლში დასახელებულ პირებს არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კომანდიტურ საზოგადოებებში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივში — იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს დირექტორებს.

ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ (კონკურენციის აკრძალვა).

კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისას დამრღვევი ვალდებულია უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე, დათმოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები და აანაზღაუროს ზარალი. ამ უფლების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ დანარჩენი პარტნიორები, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას — სამეთვალყურეო საბჭო.

9.7. 9.1. მუხლში დასახელებული პირები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზარალისათვის პარტნიორების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს. საზოგადოების ხელმძღვანელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ არ დაურღვევიათ თავიანთი მოვალეობა.

საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ანაზღაურებისათვის ვალდებული პირი გადახდისუუნაროა ანდა გაკოტრების თავიდან აცილების ან საბანკროტო წარმოების შეწყვეტის მიზნით მოურიგდება თავის კრედიტორებს. თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმით, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

9.8. დირექტორებს, რწმუნებულებს ან სამეწარმეო საქმიანობისათვის ნაწილობრივ უფლებამოსილ პირებს არ შეიძლება მიეცეთ კრედიტი საზოგადოების იმ ქონებიდან, რომელიც აუცილებელია საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. კრედიტი, რომელიც მაინც გაიცა, ყოველგვარი სხვაგვარი შეთანხმების მიუხედავად, მაშინვე უნდა დაბრუნდეს.

9.9. კომანდიტურ საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში ხელმძღვანელობისათვის კონსულტაციების გაწევის მიზნით შეიძლება შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც არა აქვს გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება. დირექტორები და კომპლემენტარები არ შეიძლება იყვნენ საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

მუხლი 10. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება

10.1. 9.1. მუხლში დასახელებულ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლიათ წერილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი ორნი ან ყველა ერთად წარმოადგენენ საწარმოს (საერთო მინდობილობა).

10.2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს. მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია დოკუმენტის გაუქმება ან მისი ძალადაკარგულად აღიარება. ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ რესპუბლიკურ გაზეთში.

10.3. თუ მინდობილობა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, იგი წარმოადგენს გენერალურ სავაჭრო მინდობილობას (პროკურა).

პროკურა იძლევა უფლებამოსილებას სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა იმ სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან.

მიწის ნაკვეთების გასხვისების ან ვალდებულებებით მათი დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას უფლებამოსილება სპეციალურად მიეცემა.

პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირისათვის. ეს წესი შეეხება, კერძოდ, შეზღუდვას, რომ პროკურა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული გარიგებებისა თუ გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას, ან განსაზღვრული დროისათვის ანდა ცალკეულ ადგილებში.

პროკურის შემოფარგვლას ერთი ან რამდენიმე ფილიალით მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირისათვის, თუ ფილიალებს მართავენ სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით. ამ წესის თანახმად, საფირმო სახელწოდებათა ურთიერთგანსხვავებულობა იმითაც გამოისახება, რომ „ფილიალს“ დაერთვება დამატება, რომელშიც აღინიშნება ფილიალის საფირმო სახელწოდება.

10.4. პროკურისტი და სავაჭრო წარმომადგენელი ხელმოწერისას საფირმო სახელწოდებას დაურთავენ თავიანთ სახელსა და გვარს და პროკურის ან სავაჭრო მინდობილობის აღმნიშვნელ დამატებას.

10.5. პროკურა და სავაჭრო მინდობილობა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების უფლების ხელყოფის გარეშე.

მუხლი 11. სავაჭრო წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მოვაჭრე. კომისიონერი

11.1. სავაჭრო წარმომადგენლად, ამ კანონის მიხედვით, მიიჩნევა პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან დებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში.

ამ კანონის მიხედვით სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა აგრეთვე დამოუკიდებელი მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელითა და ხარჯით, თუმცა უპირატესად იმყოფება სხვა საწარმოს სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში ისე, რომ მოზიდული მუდმივი კლიენტურა სხვა საწარმოს განეკუთვნება და ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ეს კლიენტურა მას რჩება.

პირი, რომელიც საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, ოღონდ სხვისი ხარჯით, ამ კანონის მიხედვით, არის კომისიონერი.

11.2. სავაჭრო წარმომადგენლები და კომისიონერები ანგარიშვალდებულნი არიან იმ საწარმოს წინაშე, რომლისთვისაც ისინი მოქმედებენ: ვალდებულნი არიან შეთანხმებულ ვადებში, ხოლო თუ შეთანხმება არ არსებობს — ყოველი კვარტლის ბოლოს, კერძოდ, კვარტლის დამთავრებიდან ათი დღის ვადაში, წერილობით წარუდგინონ საწარმოს ცნობები ყოველი შესრულებული საქმის შესახებ და პროვიზიის (მომსახურების საზღაური) ან კომისიის (კომისიონერის საზღაური) ანგარიში.

პროვიზიის გადახდის მოთხოვნა წარმოიშობა საწარმოს მიერ გარიგების შესრულების მომენტიდან და იგი გადახდილ უნდა იქნეს იმავე თვის ბოლოს. იგივე წესი მოქმედებს აგრეთვე, როცა კომისიონერი ვალდებულია გადაუხადოს საწარმოს მიღებული შემოსავალი კომისიის ხარჯების გამოკლებით. პროვიზიის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინაც, როცა საწარმო არ ასრულებს ან ისე არ ასრულებს გარიგებას, როგორც იყო შეთანხმებული. მაგრამ ეს უფლება ისპობა, როცა გარიგება არ სრულდება არა საწარმოს, არამედ გარიგების მეორე მხარის მიზეზით. თუ დადგინდა, რომ გარიგების მეორე მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, მაშინ ისპობა პროვიზიის მოთხოვნის უფლება. მიღებული თანხები უკან უნდა დაბრუნდეს.

საწარმო გადასახდელ პროვიზიებს იხდის ყოველთვიურად.

ანგარიშსწორებისას შეიძლება მოითხოვონ ყველა იმ გარიგების საბუღალტრო ამონაწერი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პროვიზია; გარდა ამისა, შეიძლება მოითხოვონ ცნობები იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც არსებითია პროვიზიის მოთხოვნის, გადახდის ვადისა და პროვიზიის გამოსათვლელად.

დაუშვებელია აღნიშნული წესებისაგან გადახვევა სავაჭრო წარმომადგენლის ან კომისიონერის საზიანოდ.

11.3. თუ პროვიზიის ან კომისიის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ნორმა მიიჩნევა შეთანხმებულად.

11.4. პროვიზია გამოითვლება იმ თანხიდან, რომელიც უნდა გადაიხადოს გარიგების მხარემ. ფულით გადახდისას ფასდათმობები უნდა გამოიქვითოს; იგივე წესი მოქმედებს ფულადი მიმოქცევის, ფრახტის, შეფუთვის, ბაჟისა და გადასახადების დამატებითი ხარჯებისათვის, თუ ეს დამატებითი ხარჯები არ უნდა გაიღოს მესამე პირმა.

სარგებლობის დათმობისა და სარგებლობის ვადიანი ხელშეკრულებების დროს პროვიზია გამოითვლება ხელშეკრულების თანხიდან ხელშეკრულების ვადის შესაბამისად. უვადო ხელშეკრულების დროს პროვიზია გამოითვლება ყოველთვის ხელშეკრულების თანხიდან და ექვემდებარება ანაზღაურებას იმ დრომდე, ვიდრე გარიგების მხარეს შეუძლია მოშალოს ეს გარიგება.

დაზღვევისას პროვიზია გამოითვლება დაზღვეული თანხიდან. თუ ასეთი თანხა არ არსებობს, მაშინ პროვიზია გამოითვლება სადაზღვევო შესატანიდან; ეს წესი მოქმედებს აგრეთვე არსებული მუდმივი კლიენტურის შენარჩუნებისათვის ზრუნვის პროვიზიის მიმართ.

11.5. კომისიონერი გარიგების შესრულებისათვის პასუხს აგებს საწარმოს წინაშე, თუ კომისიის განხორციელებამდე არ დაუსახელა მას ხელშეკრულების მხარეები. თუ კომისიონერი არ მოქმედებს საწარმოს მითითებების შესაბამისად და მას არ ჰქონდა უფლება შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე გადაეხვია თავისი უფლებამოსილებისთვის, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საწარმოს ამგვარი მოქმედებით მიყენებული ზარალი.

კომისიონერი პასუხს აგებს მისთვის მიბარებული ქონების დანაკლისისა და დაზიანებისათვის, თუ ისინი არაა გამოწვეული იმ გარემოებებით, რომელთა აცილება შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი სავაჭრო საწარმოს კეთილსინდისიერი მოქმედებით.

11.6. თუ სავაჭრო წარმომადგენლები ან კომისიონერები წინასწარ წერილობით ივალდებულებენ, რომ თავდებად დადგებიან გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის, მაშინ მათ შეუძლიათ მოითხოვონ სპეციალური გასამრჯელო — ვალდებულების შესრულებისათვის თავდებად ყოფნის პროვიზია (სათავდებო პროვიზია). ვალდებულება შეიძლება აღებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული გარიგებისათვის ან ასეთი გარიგებისათვის კონკრეტულ მხარეებთან. სათავდებო პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა გარიგების დადებისთანავე.

11.7. სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს საწარმოს თანხმობის გარეშე არა აქვთ უფლება სხვაგვარად იმოქმედონ საწარმოს საქმიანობის სფეროში ანდა პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიიღონ მონაწილეობა რომელიმე კონკურენტ საწარმოში (კონკურენციის აკრძალვა), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება წმინდა ფინანსურ მონაწილეობას არა უმეტეს ხუთი პროცენტისა. თანხმობა რომელიმე კონკურენტ საწარმოში მონაწილეობისათვის გაცემულად ითვლება, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას საწარმოსათვის ცნობილი იყო ამ მონაწილეობის ფაქტი.

თუ სავაჭრო წარმომადგენელი ან კომისიონერი დაარღვევს ამ ვალდებულებას, საწარმოს შეუძლია მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება: გარდა ამისა, მას შეუძლია სავაჭრო წარმომადგენელს ან

(გაგრძელება მე-3 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ

(გაგრძელება)

კომისიონერს მოსთხოვოს, რომ კონკურენტი საწარმოსთვის დადებული გარიგებები გადასცეს საწარმოს, ამ გარიგებიდან გამომდინარე სარგებელი კი უკან დააბრუნოს ან უარი თქვას ამ სარგებლის მოთხოვნაზე.

თუ შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ კონკურენციის აკრძალვა გრძელდება სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც, აკრძალვას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ საწარმო ამისათვის იხდის კომპენსაციას, რომელიც გამოიანგარიშება

11.9. მუხლის მესამე და მეოთხე წინადადებების შესაბამისად, ასეთი შეთანხმება დაიშვება არა უმეტეს ერთი წლის ვადით.

11.8. ხელშეკრულება სავაჭრო წარმომადგენელთან ან კომისიონერთან იდება ერთი წლის ვადით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების მოშლის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება გრძელდება კიდევ ერთი წლით. გადამწყვეტია ხელშეკრულების მხარის შესაძლებლობა, გაეცნოს განცხადებას ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

სახელშეკრულებო ურთიერთობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა შესაძლებელია, თუკი არსებობს საამისო მნიშვნელოვანი გარემოებები.

11.9. სავაჭრო წარმომადგენელს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ საწარმოს მოსთხოვოს შესაბამისი კომპენსაცია, თუ

ა. სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სხვა საწარმოს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს იმ ახალ კლიენტებთან საქმიან კავშირში, რომლებიც მოიზიდა სავაჭრო წარმომადგენელმა

და

ბ. სავაჭრო წარმომადგენელი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის გამო კარგავს იმ პროვიზიის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ექნებოდა მას მიერ მოზიდულ კლიენტებთან უკვე დადებული ან მომავალში გასაფორმებელი გარიგებების გაგრძელებისას.

ახალი კლიენტის მოზიდვას უთანაბრდება სავაჭრო წარმომადგენლის მიერ კლიენტთან საქმიანი კავშირის ისე გაფართოება, რომ იგი ეკონომიკური თვალსაზრისით დიდ მოგებას იძლევა.

კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს სავაჭრო წარმომადგენლის მიერ უკანასკნელი ხუთი წლის საქმიანობისას გამოანგარიშებული წლიური პროვიზიის ან სხვა წლიური გასამრჯელოს საშუალო ოდენობას; უფრო ხანმოკლე სახელშეკრულებო ურთიერთობისას საშუალო გამოანგარიშება მთელი საქმიანობის ხანგრძლივობიდან. დაუშვებელია კომპენსაციის მოთხოვნაზე უარი ან წინასწარ დაკმაყოფილდეს ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

მოთხოვნა არ არსებობს, თუ:

ა. სავაჭრო წარმომადგენელმა მოშალა ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამისთვის საბაბი მისცა საწარმოს მოქმედებამ ან სავაჭრო წარმომადგენლის მიერ თავისი საქმიანობის გაგრძელება ასაკის ან ავადმყოფობის გამო შეუძლებელია, ან

ბ. სხვა საწარმომ შეწყვიტა სახელშეკრულებო ურთიერთობა და შეწყვეტის მნიშვნელოვან საფუძველს შეადგენს სავაჭრო წარმომადგენლის ბრალეული მოქმედება, ან

გ. საწარმოსა და სავაჭრო წარმომადგენელს შორის შეთანხმების საფუძველზე სავაჭრო წარმომადგენლის ნაცვლად სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მესამე პირი; შეთანხმება არ შეიძლება დაიდოს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტამდე.

კომპენსაციის მოთხოვნის უფლება უნდა გამოიყენონ ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი წლის ვადაში.

მუხლი 12. სავაჭრო მაკლერი

12.1. სავაჭრო მაკლერის უფლება-მოვალეობები აქვს იმ პირს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის სახით სხვა პირთათვის კისრულობს საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადების ან სავაჭრო საქმიანობის სხვა საგნების შუამავლობას ისე, რომ ეს მათგან არა აქვს ხელშეკრულებით მუდმივად დავალებული.

ზემოთ ჩამოთვლილ გარიგებათა გარდა, სხვა გარიგებების, კერძოდ, უძრავი ნივთების გამო გარიგების შუამავლობის მიმართ, არ გამოიყენება ამ მუხლის წესები, მაშინაც კი, როცა შუამავლობა ხორციელდება სავაჭრო მაკლერის მეშვეობით.

12.2. სავაჭრო მაკლერმა გარიგების დადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მხარეებს მის მიერ ხელმოწერილი დასკვნითი აქტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს მხარეების, გარიგების საგნისა და პირობების, განსაკუთრებით, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას, მათი სახეობისა და რაოდენობის, ასევე ფასისა და გარიგების საბოლოო შესრულების დროის შესახებ, თუკი მხარეებმა მას ეს არ აუკრძალეს ან საქონლის სახეობის ადგილობრივი მოხმარების გათვალისწინებით იგი გათავისუფლებული არ არის ამ მოვალეობისაგან.

იმ გარიგებებში, რომლებიც დაუყოვნებლივ არ სრულდება, დასკვნით აქტს ხელს აწერენ მხარეები და ყოველ მათგანს გადაეცემა ხელმოწერილი დასკვნითი აქტი.

თუ მხარე უარს განაცხადებს დასკვნითი აქტის მიღებაზე ან მის ხელმოწერაზე, სავაჭრო მაკლერმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სხვა მხარეებს.

12.3. თუ ერთ-ერთი მხარე მიიღებს დასკვნით აქტს, რომელშიც სავაჭრო მაკლერი არ ასახელებს მეორე მხარეს. დასახელებული მხარე გარიგებით დაკავშირებული ხდება იმ მხარესთან, რომელიც დამატებით დასახელდება, თუ მის წინააღმდეგ არ იქნა შეტანილი დასაბუთებული პრეტენზია.

ხელშეკრულების სხვა მხარის დასახელება უნდა მოხდეს ჩვეულებრივ მიღებულ ვადებში, ხოლო თუ ასეთი ვადები არ არსებობს — გარემოებების შესატყვის ვადებში.

თუ მხარე არ დასახელდება ან დასახელებული პირების წინააღმდეგ უნდა იქნეს შეტანილი დასაბუთებული პრეტენზია, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს სავაჭრო მაკლერს მოსთხოვოს პასუხი გარიგების შესრულებაზე. პრეტენზია არ მიიღება, თუ მხარე სავაჭრო მაკლერის მოთხოვნაზე დაუყოვნებლივ არ განაცხადებს, მოითხოვს თუ არა იგი შესრულებას.

12.4. სინჯის აღების გზით საქონლის გაყიდვისას სავაჭრო მაკლერი ვალდებულია ყოველი მხარისათვის გადასაცემად შეინახოს მისი შუამავლობით გაყიდული საქონლის სინჯი, ვიდრე საქონელი მის ხარისხზე პრეტენზიის გარეშე არ იქნება მიღებული შემძენის მიერ ან გარიგება სხვაგვარად არ იქნება შესრულებული, თუ მას მხარეები ან საქონლის მოხმარების ადგილობრივი წესები ასეთი მოვალეობისაგან არ ათავისუფლებენ. სავაჭრო მაკლერმა უნდა აღნიშნოს სინჯი სპეციალური ნიშნით.

12.5. სავაჭრო მაკლერს არა აქვს უფლება მიიღოს მისი მეშვეობით კონტრაგენტებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი გადასახადი ან სხვა რაიმე სარგებელი.

12.6. სავაჭრო მაკლერი პასუხს აგებს ორივე მხარის წინაშე თავისი ბრალით გამოწვეული ზარალისათვის.

12.7. თუკი მხარეები არ შეთანხმებულან იმაზე, თუ ვინ უნდა აუნაზღაუროს მაკლერს გაწეული შრომა, მაშინ განსხვავებული ადგილობრივი წესების უქონლობისას ყოველი მხარე ვალდებულია გადაიხადოს მისაცემი თანხის ნახევარი.

12.8. სავაჭრო მაკლერი ვალდებულია აწარმოოს დღიური და ყოველდღიურად ჩაწეროს მასში ყველა დადებული გარიგება. ჩანაწერები უნდა გაკეთდეს ქრონოლოგიური წესით; ჩანაწერი უნდა შეიცავდეს 12.2 მუხლის პირველ წინადადებაში აღნიშნულ მონაცემებს და სავაჭრო მაკლერმა ხელი უნდა მოაწეროს ყოველდღიურ ჩანაწერს.

სავაჭრო წიგნების წარმოებისა და შენახვის წესები გამოიყენება სავაჭრო მაკლერის დღიურისათვისაც.

12.9. სავაჭრო მაკლერი ვალდებულია მხარეთა მოთხოვნით ნებისმიერ დროს მისცეს მათ ამონაწერები დღიურიდან, რომლებიც ხელმოწერილია მის მიერ და შეიცავს ყოველივეს, რაც ჩაწერილია საშუამავლო საქმიანობის შედეგად დადებული გარიგებების შესახებ.

მუხლი 13. საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება და ანგარიშგება

13.1. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები მცირე საწარმოებში განსხვავდება დანარჩენ საწარმოებში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წესებისაგან. საბუღალტრო აღრიცხვის გამარტივებული წესები გამოიყენება იმ მცირე საწარმოთა მიმართ, რომელთაც სრულ შტატში ჰყავთ არა უმეტეს ოცი თანამშრომლისა. სრულ შტატად ითვლება რვასაათიანი სამუშაო დრო.

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები თანაბრად გამოიყენება ყველა საწარმოს მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მცირე საწარმოთა მიმართ სხვა წესებია დადგენილი.

13.1.1. ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ საწარმოს საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად. საბუღალტრო საქმე უნდა იყოს სრულყოფილი, სწორი, გასაგები, ორმაგი საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაზე აგებული, უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშების ნომენკლატურასა და შესაბამისი წინა წლის მაჩვენებლებთან. შეფასება უნდა შეესაბამებოდეს წინდახედული მეწარმის პრინციპებს, აგრეთვე მინიმალური შეფასების პრინციპსა და მოგება-ზარალის მუხლის იმპარიტეტის პრინციპს.

13.1.2. მცირე საწარმოში საბუღალტრო აღრიცხვა უნდა იყოს სწორი, სრულყოფილი, გასაგები, უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშების ნომენკლატურასთან. ასეთ საწარმოს უნდა ჰქონდეს საინვენტარიზაციო ნუსხა, რათა განისაზღვროს ქონებრივი მდგომარეობა და წლიური ანგარიშის ფორმით შედგეს შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

13.2. ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან თავიანთი საქმიანობის დაწყებისა და ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებისას საინვენტარიზაციო ნუსხაში შეიტანონ მონაცემები მიწის ნაკვეთების, მოთხოვნებისა და ვალების, ნაღდი ფულის ოდენობის და ყველა სხვა მატერიალურ ფასეულობათა შესახებ. ამასთან, უნდა მიეთითოს ცალკეული მატერიალური ფასეულობის ღირებულება მინიმალური შეფასების პრინციპის შესაბამისად და გაკეთდეს ქონებისა და ვალების თანაფარდობის გამომხატველი ჯამი (ბალანსი, ხოლო მცირე საწარმოების მიმართ — ქონებრივი მდგომარეობა).

სამეურნეო წლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ თვეს.

საინვენტარიზაციო ნუსხის შედგენისას მატერიალურ ფასეულობათა მდგომარეობა შეიძლება განისაზღვროს მათი სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით, აღიარებული მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების საშუალებით შერჩევითი შემოწმებების საფუძველზე. ეს პროცესი უნდა შეესაბამებოდეს სათანადო საბუღალტრო წარმოების აღიარებულ საერთაშორისო პრინციპებს. ამ გზით შედგენილი საინვენტარიზაციო ნუსხის საინფორმაციო ღირებულება უნდა უთანაბრდებოდეს მატერიალური ინვენტარიზაციის საფუძველზე შედგენილი საინვენტარიზაციო ნუსხის საინფორმაციო ღირებულებას.

სამეურნეო წლის დამთავრებისათვის საინვენტარიზაციო ნუსხის შედგენისას აუცილებელი არ არის ფასეულობათა მატერიალური ინვენტარიზაციის ჩატარება, თუ სათანადო საბუღალტრო აღრიცხვა მატერიალური ინვენტარიზაციის გარეშეც უზრუნველყოფს მატერიალურ ფასეულობათა არსებობის დადგენას მათი სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით. სამეურნეო წლის ბოლოს მატერიალური ფასეულობები არ საჭიროებენ საინვენტარიზაციო ნუსხაში ჩაწერას, თუ

ა. საზოგადოებამ ეს საგნები მათი სახეობის, რაოდენობის და ღირებულების შესაბამისად ნივთობრივი ინვენტარიზაციით ან სხვა საიმედო ხერხით ჩაწერა სპეციალური ინვენტარის იმ ნუსხაში, რომელიც შედგენილია სამეურნეო წლის ბოლომდე სამი თვის ან წლის დასასრულიდან ორი თვის განმავლობაში ერთ-ერთი დღის მდგომარეობით და

ბ. სპეციალური ინვენტარის ნუსხის საფუძველზე სათანადო საბუღალტრო აღრიცხვის ჩატარების გზით უზრუნველყოფილი იქნება სამეურნეო წლის ბოლოსთვის რეალურად არსებულ მატერიალურ ფასეულობათა სათანადო შეფასება.

13.3. ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან ათი წლის განმავლობაში შეინახონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო ნუსხა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი სამუშაო ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები;

ბ) მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია;

გ) ცნობები მიმდინარე საბუღალტრო წიგნებში ჩანაწერების შესახებ (საბუღალტრო დოკუმენტები).

13.4. საზოგადოების ხელმძღვანელებმა სამეურნეო წლის პირველი სამი თვის განმავლობაში უნდა შეადგინონ გასული სამეურნეო წლის წლიური ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ (წლიური ანგარიში), ასევე საქმიანობის ანგარიში და უნდა წარმოადგინონ დასკვნითი ანგარიში; მცირე საწარმოების ხელმძღვანელებმა თავიანთი ანგარიში (ქონებრივი მდგომარეობა და შემოსავალ-გასავლის ანგარიში) უნდა შეიტანონ საწარმოს დოკუმენტებში. წლიური ანგარიში დგება ეროვნული ვალუტით და ხელმძღვანელებმა უნდა მოაწერონ ხელი თარიღის მითითებით.

13.5. დავის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ერთ-ერთი მოდავე მხარის საბუღალტრო წიგნები საკუთარი ინიციატივით ან რომელიმე მხარის განცხადების საფუძველზე. თუ დავის დროს წარმოდგენილია საბუღალტრო წიგნები, მაშინ მხარეთა მონაწილეობით შეიძლება მათი შინაარსის გაცნობა, თუ ისინი დავის საგანს შეეხება. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს მათი ამონაწერი. წიგნების სხვა მონაცემები სასამართლოს შეიძლება წარედგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საბუღალტრო აღრიცხვის სისწორის შესამოწმებლად. ქონებრივი დავის დროს, კერძოდ, მემკვიდრეობის, საზოგადოების გაყოფის საქმეებზე სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ყველა წიგნის წარდგენა მათი სრული შინაარსის გაცნობის მიზნით. ვისაც შეუძლია საჭირო დოკუმენტების წარდგენა ვიდეო, აუდიო ან სხვაგვარი ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, იგი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით წარმოადგინოს ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც აუცილებელია დოკუმენტების წასაკითხად; აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა დაბეჭდოს ეს დოკუმენტები, ან ამ ტექნიკური საშუალებების გარეშეც წარმოადგინოს მათი ისეთი რეპროდუქცია, რომლის წაკითხვაც შესაძლებელია.

13.6. წესები წლიური ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის სტრუქტურისა და ცნებათა შინაარსის შესახებ წარმოადგენენ კანონის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს და მოცემულია ამ კანონის დანართში.

მუხლი 14. ხანგრძლივობა, ლიკვიდაცია, გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა ნატურით

14.1. საზოგადოება შეიძლება შეიქმნას განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვადით. თუ საზოგადოების წესდებაში არაა მითითებული ხანგრძლივობა, საზოგადოება ითვლება განუსაზღვრელი ვადით შექმნილად.

14.1.1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებებში ნებადართულია პარტნიორის მიერ საზოგადოებიდან გასვლა სამეურნეო წლის ბოლომდე თორმეტი თვით ადრე განცხადების საფუძველზე, თუ წესდება უფრო გრძელ ვადას არ ითვალისწინებს. გასვლის განცხადება, როგორც წესი, იწვევს მხოლოდ განმცხადებელი პარტნიორის გასვლას საზოგადოებიდან, თუკი საზოგადოების წესდება არ ითვალისწინებს საზოგადოების ლიკვიდაციას. საზოგადოება ექვემდებარება ლიკვიდაციას, თუ საზოგადოებიდან გასვლას მოისურვებენ ხმათა ორმოცდაათ პროცენტზე მეტის მფლობელი პარტნიორები.

14.1.2. შპს-სა და სს-ში დაუშვებელია საზოგადოების დაშლა ერთი პარტნიორის მიერ. ლიკვიდაცია მოხდება, თუ ამას გადაწყვეტენ ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელები.

14.1.3. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება გადახდისუუნარო გახდება, დირექტორებმა, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ არა უგვიანეს სამი კვირისა გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან, უნდა განაცხადონ საბანკროტო საქმის აღძვრის შესახებ; ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ქონება უკვე ველარ ფარავს ვალებს. არ მიიჩნევა განაცხადის ბრალეულ გაჭიანურებად, თუ დირექტორები საბანკროტო საქმის აღძვრას ეპყრობიან კომერსანტის კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით.

დირექტორები ვალდებულნი არიან საზოგადოებას აუნაზღაურონ ის ხარჯები, რომლებიც გაღებულია საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის ან დავალიანების დადგენის შემდეგ. ეს წესი არ მოქმედებს იმ ხარჯების მიმართ, რომლებიც გაღებული იყო გადახდისუუნარობის დადგომის შემდეგ, თუ დირექტორი მოქმედებდა ნამდვილი კომერსანტის კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით. ზარალის ანაზღაურების მიმართ გამოიყენება 9.6 მუხლის წესები.

14.2. ლიკვიდაციას აწარმოებენ 9.1 მუხლში დასახელებული პირები ერთობლივი ხელმოწერით. რომელიმე მონაწილის შუამდგომლობით, თუ საამისო მნიშვნელოვანი საფუძვლები არსებობს, ლიკვიდაციის განმხორციელებელი პირები (ლიკვიდატორები) შეიძლება დაინიშნონ იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებაა ადგილსამყოფელი; ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ლიკვიდატორებად დანიშნოს ის პირებიც, რომლებიც არ არიან დირექტორები.

ლიკვიდატორებმა დანიშვნისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი. საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა აცნობონ სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, საჯარო განცხადებით, და მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისთვის.

ლიკვიდატორები მოვალენი არიან დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, განახორციელონ აქტივები და შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან დავალიანება არ გამომდინარეობს. დავალიანების დადგენისთანავე ისინი მოვალენი არიან ამის თაობაზე აცნობონ სასამართლოს, რომელმაც უნდა აღძრას საბანკროტო საქმე. ლიკვიდატორები წარმოადგენენ საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, შეუძლიათ წარმართონ ამასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულონ დავები, ხოლო, თუ საჭიროა, ჩაერთონ ახალ გარიგებებშიც. მათ შეუძლიათ აგრეთვე თავისუფლად გაყიდონ აქტივები. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს მათ ყოველწლიურად უნდა შეადგინონ შუალედური ბალანსები. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავის საქმიან მოვალეობათა შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის. ლიკვიდატორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება 9.7 მუხლით.

14.3. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ, თუ საზოგადოების წესდება სხვა წესს არ ითვალისწინებს, ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული თანხებისა და მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. განაწილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა იანგარიშება იმ დღიდან, როცა მოვალეები მესამედ იქნენ პუბლიკაციის მეშვეობით გამოძახებული. განაწილება შეიძლება მოახდინოს სასამართლომ ერთი წლის ვადის გასვლამდეც, თუკი არსებული ვითარებიდან გამომდინარე ეს საფრთხეს არ უქმნის კრედიტორებს.

თუ ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს, მათი მოთხოვნების ღირებულება სასამართლოსგან დეპონირდება. ამგვარადვე უნდა იქნეს დეპონირებული საზოგადოების სადავო ვალდებულებებისა და იმ ვალდებულებების შესაბამისი ღირებულება, რომელთა შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, თუკი კრედიტორებისათვის არ არის წარდგენილი თანაბრადღირებული გარანტია ან საზოგადოების ქონების განაწილება არ შეჩერდება ამ ვალდებულებათა შესრულებამდე.

წესები საზოგადოების ფულის გახარჯვის შესახებ არ გამოიყენება ლიკვიდაციის პერიოდში.

თუ საზოგადოების ქონების განაწილებისას წარმოიშობა დავა პარტნიორებს შორის, ლიკვიდატორებმა უნდა შეწყვიტონ განაწილება დავის კანონიერად გადაწყვეტამდე.

14.4. პარტნიორებს შეუძლიათ ერთი ფორმის საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად წილობრივი ურთიერთობებისა და საზოგადოების საქმიანობის საგნის შენარჩუნებით. გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით. გარდაქმნის ბალანსში აქტივები შეიტანება ძველი საბალანსო ან საბაზრო ღირებულებით.

საბაზრო ღირებულებას ამოწმებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის გარდაქმნისათვის აუცილებელია ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა, ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

14.5. საზოგადოებებსა და ინდივიდუალურ საწარმოს შეუძლიათ გაერთიანდნენ (შერწყმა). სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა, ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საზოგადოება უერთდება მეორეს თუ ორივე საზოგადოება ერთიანდება ერთ ახალ საზოგადოებად. თუ შერწყმის დროს მოხდება გადახვევები საბალანსო ღირებულებებიდან, შერწყმის ბალანსში ღირებულება უნდა დაზუსტდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებამ უნდა განსაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ საწესდებო კაპიტალში მათი წილის პრინციპებით. საზოგადოება, რომელმაც ძველი საზოგადოება მიიერთა, ან ახლადშექმნილი საზოგადოება წარმოადგენენ ადრინდელი საზოგადოების (საზოგადოებების) უფლებამონაცვლეს.

14.6. საწარმო, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე საწარმოო ერთეულია, შეიძლება დაიყოს მის შემადგენლობაში მყოფ საწარმოებად და მათ გააგრძელონ საქმიანობა, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (გაყოფა ნატურით). შემადგენლობაში მყოფი საწარმო წარმოადგენს საწარმოო-ორგანიზაციულად განცალკევებულ ერთეულს, რომელსაც აქვს საკუთარი საქმიანობის სფერო. ნატურით გაყოფა დაიშვება საბალანსო ღირებულებით. თუ დადგინდა უფრო მაღალი ღირებულება, იგი უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ნატურით გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტნიორები ნატურით გაყოფილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე.

14.7. შერწყმა და ნატურით გაყოფა დაიშვება მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის და ამ დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი ძალით.

მუხლი 15. ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები

15.1. ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს.

15.2. დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 16. ფილიალები

საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს.

კანონით დადგენილი ხელმოწერები შესანახად უნდა გაკეთდეს ფილიალის მარეგისტრირებულ სასამართლოში.

მუხლი 17. კონცერნები და მეკავშირე საწარმოები

17.1. კონცერნი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ერთი საწარმო სხვა საწარმოში მონაწილეობს ოცდახუთ პროცენტზე მეტი წილით. კონცერნი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მას აქვს მხოლოდ ამ მუხლში გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

17.2. თუ ერთი საწარმოს ხელში აღმოჩნდება საქართველოში მდებარე სხვა საწარმოს წილის სულ ცოტა ხუთი პროცენტი, მაშინ ხუთი პროცენტის მფლობელმა საწარმომ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე საწარმოს. თუ საწარმოს ხელში აღმოჩნდება წილთა უმრავლესობა, ამ საწარმომ (ძირითადი საწარმო) ამის შესახებ ასევე დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე საწარმოს (არაძირითადი საწარმო). შეტყობინების მოვალეობა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა წილი აღარ შეადგენს იმ ოდენობას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია შეტყობინების მოვალეობა. საწარმოს, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ აბზაცის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს წილის სიდიდის დამადასტურებელი საბუთი.

17.3. თუ საწარმოს ხელში აღმოჩნდება საქართველოში მდებარე სხვა საწარმოს წილთა სულ ცოტა ორმოცდაათი პროცენტი, მაშინ ძირითად საწარმოს ეკისრება შემდეგი მოვალეობები:

ა) აანაზღაუროს არაძირითადი საწარმოს წლიური ზარალი.

ბ) აანაზღაუროს არაძირითადი საწარმოს ქონებივი დანაკლისები, რომლებიც წარმოიშვა ძირითადი საწარმოს გარიგებებიდან ან სხვა ღონისძიებებიდან, და გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია გარეშე პარტნიორებისთვის;

გ) შეადგინოს საკონცერნო ბალანსი არაძირითადი საწარმოს წლიურ ბალანსთან გაერთიანებით;

დ) განაცხადოს არაძირითად საწარმოში მონაწილეობა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისთვის.

17.4. თუ ერთი საწარმოს ხელში აღმოჩნდა საქართველოში მდებარე სხვა საწარმოს წილთა სულ ცოტა სამოცდათხუთმეტი პროცენტი, ძირითადი საწარმო პასუხს აგებს არაძირითადი საწარმოს ან მესამე პირის წინაშე იმ ზარალისათვის, რომელიც გამოწვეულია გარიგებებით ან სხვა ღონისძიებებით.

საწარმოსთან ერთად პასუხს აგებენ 9.1 მუხლში დასახელებული პირები, როგორც სოლიდარული მოვალენი. პასუხისმგებლობა არ დგება, თუ დამოუკიდებელი საწარმოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელიც ამგვარადვე იმოქმედებდა. 9.7 მუხლი გამოიყენება შესაბამისად.

ამგვარადვე აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე საწარმო და მისი კანონიერი წარმომადგენლები სხვა საწარმოში სულ ცოტა სამოცდათხუთმეტ პროცენტიანი მონაწილეობისას ამ საწარმოს ვალდებულებებისათვის. აღნიშნული ვალდებულებებისთვის საწარმო სოლიდარულად აგებს პასუხს იმ საწარმოსთან ერთად, რომლის წილთა სამოცდათხუთმეტი პროცენტიც მას ეკუთვნის.

17.5. ამ მუხლის მიხედვით, უმრავლესობის მოსაპოვებლად უნდა გაერთიანდეს ძირითადი საწარმოს არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობები. 17.2-17.4 მუხლების მიხედვით მონაწილეთა უმრავლესობას უთანაბრდება, თუ ხელშეკრულების ძალით რამდენიმე საწარმო ერთიანდება და, ამგვარად, არაძირითად საწარმოში ხმების ნახევარზე მეტს მოაგროვებენ.

17.6. ხელშეკრულება, რომლითაც ერთი საწარმოს ორგანოები ემორჩილებიან სხვა საწარმოს ნებას, ბათილია.

17.7. დაუშვებელია რომელიმე საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ხუთ პროცენტზე მეტი ორმხრივი წილობრივი მონაწილეობა. თუ ეს მონაწილეობა არსებობს სამ თვეზე მეტ ხანს, გადამეტებული ნაწილი ამოღებულ უნდა იქნეს 3.8 მუხლის წესების შესაბამისად.

მუხლი 18. გამოქვეყნება და კონფიდენციალობა

18.1. საწარმო აქვეყნებს ამ კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციასა და ფაქტებს. კერძოდ, სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს, 17.2 მუხლის მიხედვით, ინფორმაციას წილობრივი მონაწილეობისა და პარტნიორთა კრებების შესახებ. სხვა ინფორმაციისა და ფაქტების გამოსაქვეყნებლად აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობა, თუ ეს საბჭო არსებობს, ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, როგორც მთლიანად, ასევე ცალკეულ შემთხვევებში.

18.2. სხვა შემთხვევებში საზოგადოების ორგანოების სხდომათა შინაარსი და შედეგები კონფიდენციალურია, თუკი ეს შედეგები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, ან თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. კონფიდენციალობა არ გამოიყენება სააქციო საზოგადოების საერთო კრების მიმართ და რეგისტრირებული კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიმართ. გარდა ამისა, ზოგადად ან ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოების ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება კონფიდენციალობის გაუქმების შესახებ.

მუხლი 19. სხვა წესები: სანოტარო ფორმა, საქმიანი წერილის ბლანკის მონაცემები. ექსპერტების დანიშვნა

19.1. ყველა შეთანხმება, რომლითაც იქმნება ან უქმდება საწარმო, აგრეთვე ყოველგვარი ცვლილება მათში მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას. ბათილია გარიგება, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

19.2. საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე, რომლებიც გაეგზავნებათ ადრესატებს, უნდა მიეთითოს საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და ადგილსამყოფელი, საზოგადოების ადგილსამყოფლის მიხედვით სარეგისტრაციო ორგანო და რეგისტრაციის ნომერი. გარდა ამისა, მითითებული უნდა იყოს საზოგადოების საწესდებო კაპიტალი.

სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივის საქმიან წერილებზე აგრეთვე უნდა აღინიშნოს ყველა დირექტორი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც გვარისა და სახელის მითითებით. ასევე მიეთითება დირექტორატის თავმჯდომარე.

19.3. ამ კანონში აღნიშნულ „დამოუკიდებელ ექსპერტად“ მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი, რომელსაც სახელმწიფოსაგან აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს საწარმოთა საბუღალტრო საქმე და ანგარიშიანობა ზოგადად და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანახმად. ამასთან, ეს პირი ან საზოგადოება ეკონომიკურად და პიროვნულად დამოუკიდებელი უნდა იყოს შესამოწმებელი საწარმოსაგან ან მის თანამდებობის პირთაგან. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ დანიშნონ ასეთი პირი ან საზოგადოება, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ადგილსამყოფელის ან შემოწმების ადგილის მიხედვით არსებული სასამართლო.

II. კერძო ნაწილი

თავი პირველი

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუხლი 20. ცნება

20.1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები — უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

20.2. პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

მუხლი 21. პარტნიორის შეგებებული მოთხოვნა

21.1. თუ რომელიმე პარტნიორს საზოგადოების ვალდებულებათა გამო წარედგინება პრეტენზია, მაშინ ამ პარტნიორს შეუძლია წარდგენილი პრეტენზიის წინააღმდეგ წარმოადგინოს მხოლოდ ის შეგებებული მოთხოვნა, რომლის უფლებაც საზოგადოებას ან პირადად მას აქვს ამ პრეტენზიის საწინააღმდეგოდ.

21.2. პარტნიორს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, სანამ საზოგადოება უფლებამოსილია იდავოს გარიგებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების ვალდებულებას.

21.3. იგივე უფლება აქვს პარტნიორს მანამ, სანამ კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს საზოგადოების დრომოსული საპირისპირო მოთხოვნის შესრულებით (შემხვედრი ფულადი მოთხოვნების ურთიერთჩათვლა).

21.4. იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს პარტნიორის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევა, კრედიტორი უფლებამოსილია მოიპოვოს, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ აღმასრულებელ დოკუმენტთან ერთად, ასეთივე დოკუმენტი პარტნიორების მიმართაც.

მუხლი 22. პარტნიორთა კრება

22.1. იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა მნიშვნელობაც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, იღებს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრება.

22.2. ყოველ პარტნიორს შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება პარტნიორთა უმრავლესობა. თუ კრება გადაწყვეტილებაუუნაროა, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმდაგვარადვე და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა.

22.3. საზოგადოების კრების მონაწილენი თავიანთი წრიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. კრებაზე ყოველ პარტნიორს აქვს თითო ხმა. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს. საზოგადოების კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს ოქმს.

22.4. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას უმრავლესობის მიერ, თუ ეს კანონი არ ადგენს გადაწყვეტილებათა ერთხმად მიღებას და თუ გადაწყვეტილება ერთ-ერთ პარტნიორს არ აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში ან არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

მუხლი 23. საზოგადოების ხელმძღვანელობა

თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ყველა პარტნიორი უფლებამოსილია გაუძღვეს საწარმოო საქმეებს, რომლებსაც ისინი საჭიროებისამებრ ცალ-ცალკე განახორციელებენ, თუკი ცალკეულ შემთხვევაში რომელიმე პარტნიორი ამის წინააღმდეგი არ იქნება. ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელობის ეს ფორმა არ გამოიყენება.

მუხლი 24. პარტნიორის კონტროლის უფლება

იმ პარტნიორსაც, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში, შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება აქვს მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ მოვალეობათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.

მუხლი 25. მოგება და ზარალი

25.1. ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.

25.2. ერთ-ერთი პარტნიორის წილი მოგება მიემატება მისსავე წილ კაპიტალს; პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში წილი კაპიტალიდან გახარჯული ფული ჩამოიწერება მოგებიდან.

მუხლი 26. მოგებისა და ზარალის განაწილება

26.1. ყოველ პარტნიორს წლიური მოგებიდან ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, წილი თავისი წილი კაპიტალის ოთხი პროცენტის ოდენობით. თუ წლიური მოგება ამისათვის საკმარისი არ არის, მაშინ წილი განისაზღვრება, შესაბამისად, უფრო დაბალი პროცენტით.

26.2. 26.1. მუხლის მიხედვით, პარტნიორის წილი მოგების დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება პარტნიორის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც მან სამეურნეო წლის განმავლობაში შესატანის სახით შეასრულა, ამ სამუშაოს შესრულებიდან გასული დროის გათვალისწინებით. თუ პარტნიორმა სამეურნეო წლის განმავლობაში გახარჯა ფული თავისი წილი კაპიტალიდან, მაშინ მხედველობაში მიიღება გახარჯული თანხა გახარჯვამდე გასული დროის პროპორციულად.

26.3. წლიური წილი მოგების ის ნაწილი, რომელიც აღემატება 26.1. და 26.2. მუხლების მიხედვით გამოსაანგარიშებელ წილ მოგებათა თანხას, და სამეურნეო წლის ზარალი, განაწილდება პარტნიორთა შორის და მიემატება მათ წილ კაპიტალს. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა წესებსაც.

მუხლი 27. ფულის გახარჯვა პარტნიორის მიერ

27.1. პარტნიორს უფლება აქვს საზოგადოების სალაროდან საკუთარი ხარჯებისათვის გამოიტანოს ბოლო სამეურნეო წლის მისთვის დადგენილი წილი კაპიტალის ოთხ პროცენტამდე ოდენობის თანხა და, თუ ეს საზოგადოებას აშკარად ზიანს არ აყენებს, მოითხოვოს ბოლო წლის მოგებიდან თავისი წილი მოგების გამოტანა, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს ზემოხსენებულ თანხას. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს განსხვავებულ წესებს, კერძოდ, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას ფულის გახარჯვის თაობაზე.

27.2. სხვა შემთხვევაში პარტნიორს არა აქვს უფლება დანარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშე მოაკლოს თანხა თავის წილ კაპიტალს.

მუხლი 28. ლიკვიდაციის საფუძვლები

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლიკვიდირებული იქნება:

ა. იმ ვადის გასვლისას, რა ვადითაც იგი შეიქმნა;
ბ. პარტნიორთა გადაწყვეტილებით;
გ. საზოგადოების საბანკროტო წარმოების გახსნით;
დ. სასამართლოს გადაწყვეტილებით.

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(გაგრძელება)

მუხლი 29. ლიკვიდაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით

29.1. ერთ-ერთი პარტნიორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს განსაზღვრული ვადით შექმნილი საზოგადოება ვადაზე ადრე ან უვადოდ შექმნილი საზოგადოება, თუკი არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.

29.2. მნიშვნელოვან საფუძვლად, კერძოდ, ჩაითვლება, თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია საზოგადოების წესდებით მასზე დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ ამგვარი მოვალეობის შესრულება შეუძლებელი ხდება.

29.3. შეთანხმება, რომლითაც პარტნიორს ერთმევა ან, ამ ნორმების საწინააღმდეგოდ, ეზღუდება საზოგადოების ლიკვიდაციის მოთხოვნის უფლება, ბათილია.

მუხლი 30. წილი-კაპიტალის გასხვისება

პარტნიორს შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი-კაპიტალი, თუ ყველა დანარჩენი პარტნიორი წინასწარ განაცხადებს თანხმობას, ან თუ საზოგადოების წესდებით დაშვებულია გასხვისება. წილი-კაპიტალის დათმობისას საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება. საბუთი უნდა შეიცავდეს სხვა პარტნიორების თანხმობასაც. უამისოდ დათმობის ხელშეკრულება ბათილია.

მუხლი 31. ერთ-ერთი პარტნიორის გასვლა ან გაკოტრება

31.1. თუ ერთ-ერთი პარტნიორი გამოთქვამს საზოგადოებიდან გასვლის სურვილს, ან მის ქონებაზე იხსნება საბანკროტო წარმოება, მაშინ იგი საზოგადოებიდან გადის ამ ფაქტის ძალაში შესვლის მომენტიდან.

31.2. თუ პარტნიორი საზოგადოების წინაშე მასზე დაკისრებულ არსებით მოვალეობას დაარღვევს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, თუ ამგვარი მოვალეობის შესრულება მისთვის შეუძლებელი ხდება ან არსებობს სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ სასამართლომ სხვა პარტნიორების მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება საზოგადოებიდან ამ პარტნიორის გარიცხვის შესახებ.

მუხლი 32. ურთიერთობანი საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემდეგ

32.1. საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის ან მისი გარიცხვის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში დაემატება სხვა დანარჩენ პარტნიორებს.

32.2. ეს პარტნიორები ვალდებულნი არიან საზოგადოებიდან გამსვლელი ან გარიცხული პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა. საზოგადოებიდან გამსვლელ ან გარიცხულ პარტნიორს არა აქვს გარანტიის მოთხოვნის უფლება.

32.3. საზოგადოების ქონების ღირებულება უნდა შეფასდეს იმ დროისათვის, როცა საზოგადოებიდან გასვლა ძალაში შედის, იხსნება საბანკროტო წარმოება ან შეიტანება სარჩელი გარიცხვის შესახებ. მოთხოვნა უნდა შესრულდეს გამოყოფის ბალანსის წარდგენისას.

მუხლი 33. პარტნიორის გარდაცვალება

33.1. უმემკვიდროდ დარჩენილი პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი წილი დაემატება სხვა დანარჩენ პარტნიორებს.

33.2. თუ, 33.1. მუხლის თანახმად, პარტნიორს ჰყავს მემკვიდრეები, მაშინ ყოველ მემკვიდრეს შეუძლია საზოგადოებაში დარჩეს იმისდა მიხედვით, მიენიჭება თუ არა მას კომანდიტის სტატუსი და ჩაეთვლება თუ არა სამკვიდროს დამტოვებლის საწევრო შესატანიდან მისი კუთვნილი წილი საკომანდიტო შენატანად. თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, მაშინ ამ კომანდიტის წილი მოგება ასევე განისაზღვრება სამკვიდროს დამტოვებლის საწევრო შესატანიდან მემკვიდრის კუთვნილი წილის მიხედვით.

33.3. თუ დანარჩენი პარტნიორები არ მიიღებენ მემკვიდრისაგან შესაბამის განცხადებას, მაშინ მემკვიდრე უფლებამოსილია განაცხადოს საზოგადოებიდან თავისი გასვლის შესახებ დათქმულ ვადაზე ადრე.

33.4. მემკვიდრემ განცხადება შეიძლება გააკეთოს სამი თვის ვადაში იმ მომენტიდან, როცა მან მიიღო მემკვიდრეობა. თუ მემკვიდრე არ შედის საზოგადოებაში სოლიდარულად პასუხისმგებელი პარტნიორის სახით, მაშინ იგი პასუხს აგებს მისი სტატუსის გარკვევამდე წარმოშობილ საზოგადოების ვალებზე იმ წესების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ საანდერძო დანაკისრისათვის მემკვიდრის პასუხისმგებლობას.

33.5. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში შემსვლელი (ან შემსვლელები) სპეციალური უფლებამოსილების ძალით იღებს პარტნიორის სტატუსს. იგი (ისინი) ვალდებულია სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲙᲝᲛᲐᲜᲓᲘᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

მუხლი 34. ცნება

34.1. საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები — კომპლემენტარები).

34.2. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

34.3. პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

მუხლი 35. კონკურენციის აკრძალვა

კონკურენციის აკრძალვა არ ვრცელდება კომანდიტებზე, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

მუხლი 36. კომანდიტის კონტროლის უფლება

36.1. კომანდიტს უფლება აქვს მოითხოვოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების წიგნებისა და საბუთების გაცნობით შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე.

36.2. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი კომანდიტის განცხადების საფუძველზე ნებისმიერ დროს მოითხოვოს საბალანსო და წლიური ანგარიშის მონაცემების, სხვა მსგავსი ინფორმაციის, საზოგადოების წიგნებისა და საბუთების წარდგენა.

მუხლი 37. საზოგადოების ხელმძღვანელობა

37.1. კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში; მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. თუ მოქმედება სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, საჭიროა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

37.2. თუ ერთ-ერთ კომანდიტს ხელშეკრულებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებანი, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, იგი პასუხს აგებს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი.

მუხლი 38. მოგება და ზარალი

38.1. 25-ე მუხლის წესები მოგება-ზარალის დაანგარიშების შესახებ ვრცელდება კომანდიტების მიმართაც.

38.2. კომანდიტი ზარალის მოზიარეა მხოლოდ თავისი წილი კაპიტალისა და ჯერ კიდევ გადაუხდელი შესატანის ოდენობით.

38.3. კომანდიტის წილი მოგება დაერიცხება მის წილ კაპიტალს, ვიდრე ეს უკანასკნელი არ მიაღწევს შესატანის დათქმულ ოდენობას.

მუხლი 39. მოგებისა და ზარალის განაწილება

39.1. პარტნიორთა წილი წლიურ მოგებაში განისაზღვრება ამ კანონის 26.1 და 26.2 მუხლებით, თუ მოგება არ აღემატება წილი კაპიტალის ოთხ პროცენტს.

39.2. სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი, რომელიც აღემატება ამ თანხას, პროპორციულად ნაწილდება პარტნიორებს შორის, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. განაწილების პროპორციულობის დასადგენად, კერძოდ, მხედველობაში მიიღება კომანდიტის წილი კაპიტალი, ასევე მათი სამართლებრივი მდგომარეობა.

მუხლი 40. კომანდიტის მიერ მოგების გამოყენება

40.1. ამ კანონის 27-ე მუხლი კომანდიტების მიმართ არ გამოიყენება.

40.2. კომანდიტს აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება. მას არ შეუძლია ამ მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი წილი კაპიტალი ზარალის შედეგად ან ანგარიშსწორების გამო შესატანის დათქმულ თანხაზე ნაკლებია.

40.3. კომანდიტი ვალდებული არ არის დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო.

მუხლი 41. კომანდიტის პასუხისმგებლობა

41.1. კომანდიტის საგარანტიო თანხა საზოგადოების კრედიტორების მიმართ განისაზღვრება სამეწარმეო რეესტრში მითითებული თანხის ოდენობით, თუ ეს თანხა უკვე შეტანილია. სხვა შემთხვევაში გამოიყენება 3.3—3.5 მუხლები.

41.2. სამეწარმეო რეესტრში მოცემული საგარანტიო თანხის არარეგისტრირებულ მომატებას კრედიტორები შეიძლება დაეყრდნონ მხოლოდ მაშინ, თუ მომატება საქმიან ურთიერთობებში მიღებული წესით გახდება ცნობილი, ან საზოგადოება ამის შესახებ კრედიტორებს სხვა გზით შეატყობინებს.

41.3. კომანდიტი ვალდებული არ არის უკან დააბრუნოს ის თანხა, რომელსაც იგი კეთილსინდისიერად და სათანადოდ შედგენილი ბალანსის საფუძველზე მოგების სახით მიიღებს. სხვა შემთხვევებში გამოიყენება 3.6-ე მუხლი.

მუხლი 42. პასუხისმგებლობა კომანდიტად შესვლის დროს

უკვე არსებულ საზოგადოებაში კომანდიტად შემსვლელი პირის პასუხისმგებლობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 41-ე მუხლი.

მუხლი 43. კომანდიტის წილის გასხვისება ან მემკვიდრეობით გადაცემა

43.1. კომანდიტის წილი შეიძლება გასხვისდეს ან გადაეცეს მემკვიდრეობით სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

43.2. წილის დათმობისთვის საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

მუხლი 44. ცნება

საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორების პასუხისმგებლობა — საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

მუხლი 45. საწესდებო კაპიტალი. შესატანი

45.1. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნული ვალუტით.

45.2. შესატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისთვის შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს, მაგრამ იგი ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს.

მუხლი 46. პარტნიორის უფლება-მოვალეობანი

46.1. პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა.

46.2. თუ პარტნიორი თავდაპირველი წილის მისამატებლად შეიძენს სხვა წილს, თითოეული წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას.

46.3. პარტნიორის მიერ წილის დათმობა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას. სანოტარო დამოწმებაა ასევე საჭირო შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების შესახებ.

46.4. საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს წილის გადაცემის სხვა პირობებიც, კერძოდ, გასხვისებისათვის, აუცილებელი გახდეს საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

46.5. წილის ნაწილობრივი გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ნებართვით. ნებართვაში უნდა აღინიშნოს შემძენის პიროვნება და თანხა, რომელიც შეესაბამება დაუნაწევრებელი შესატანის გაყოფის შედეგად წარმოშობილ თითოეულ წილს. 45.2 მუხლის წესები შესატანის თანხის შესახებ შესაბამისად გამოიყენება წილის გაყოფის მიმართ.

46.6. დაუშვებელია საკუთარი წილის შეძენა.

46.7. საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს პარტნიორთა მიერ შესატანის გარდა დამატებითი შესატანების გადახდაც. დამატებითი შესატანები წილის პროპორციული უნდა იყოს.

საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული იმ გადასახდელის გაზრდა, რომელიც ეკისრება პარტნიორს, დაიშვება მხოლოდ დანარჩენი პარტნიორების თანხმობით.

46.8. პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს, უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ კრების მოწვევა ამ კრების მიზნისა და საფუძვლების მითითებით. თუ ამ მოთხოვნას არ გამოეხმაურებიან, ან საერთოდ არ არსებობენ ის პირები, ვის მიმართაც არის ეს მოთხოვნა გათვალისწინებული, მაშინ პარტნიორებს, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლიათ თვითონ მოიწვიონ იგი. კრება გადაწყვეტს მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის საკითხს.

46.9. პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას.

46.10. დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

დირექტორებს შეუძლიათ უარი თქვან ამგვარი ინფორმაციის გაცემასა და წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობაზე, თუ ეს ინფორმაცია პარტნიორმა შეიძლება საზოგადოების საწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოიყენოს და ამით საზოგადოებას ან მის მეკავშირე საწარმოს უარყოფითი შედეგები მოუტანოს. უარი საჭიროებს პარტნიორთა გადაწყვეტილებას.

დირექტორების მიერ ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, თუ მას განცხადებით მიმართეს. განცხადებით მიმართვის უფლება აქვს პარტნიორს, რომელსაც უარი ეთქვა ინფორმაციის მიცემაზე და წიგნებისა თუ ჩანაწერების გაცნობაზე.

მუხლი 47. პარტნიორთა კრება

47.1. პარტნიორთა კრება ტარდება, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ, თუ პარტნიორებმა არ ისარგებლეს 47.7 მუხლში გათვალისწინებული უფლებით. დირექტორებმა უნდა მოიწვიონ საზოგადოების კრება, თუ საზოგადოების ინტერესები ამას მოითხოვს, ანდა თუ პარტნიორები მოითხოვენ კრების ჩატარებას 46.8 მუხლის შესაბამისად.

47.2. საზოგადოების წესდების შეცვლა შეიძლება მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ასეთ გადაწყვეტილებას სჭირდება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა და სანოტარო წესით დამოწმება.

47.3. თუ საზოგადოების წესდება სხვა წესებს არ შეიცავს, მაშინ პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე, კერძოდ:

ა. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
ბ. წილთა შეძენა და გასხვისება, ასევე, საწარმოთა შეძენა, გასხვისება და ლიკვიდაცია;
გ. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
დ. ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
ე. უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
ვ. ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის ათ პროცენტს;
ზ. სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგენილ ოდენობას;
თ. იმ სესხისა და კრედიტის უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას;
ი. ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;
კ. პროკურის გაცემა და გაუქმება;
ლ. იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას გააჩნია დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქტს დირექტორის ანდა პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;
მ. წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;
ნ. შესატანების გადახდის მოთხოვნა;
ო. დამატებითი შესატანების უკან დაბრუნება;
პ. დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან შრომის ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშის დამტკიცება.

47.4. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პარტნიორთა კრება საზოგადოების ხელმძღვანელობას აძლევს ცალკეულ დავალებებს ამ ხელმძღვანელობის კომპეტენციის ფარგლებში.

47.5. დირექტორებს შეუძლიათ მოიწვიონ საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობენ ის პარტნიორები, რომლებსაც აქვთ ხმების უმრავლესობა. თუ კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით კვლავ მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა.

47.6. კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

47.7. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.

47.8. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისთვის, ანდა თუ არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

47.9. საზოგადოების კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზედაც აუცილებელია თავმჯდომარის ხელმოწერა.

მუხლი 48. სამეთვალყურეო საბჭო

საზოგადოების წესდებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის წესები სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ.

მუხლი 49. დირექტორები

49.1. ამ კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრებათ დირექტორებს.

49.2. დირექტორებმა თავიანთი ამოცანები უნდა შეასრულონ ჩვეულებრივი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. შესაბამისად გამოიყენება მუხლი 9.7.

მუხლი 50. წლიური შედეგები

პარტნიორებს აქვთ წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით, თუ კანონით ან საზოგადოების წესდებით ანდა პარტნიორთა გადაწყვეტილებით დაშვებულია ამ თანხის განაწილება პარტნიორებს შორის.

შედეგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორებს შეუძლიათ თანხა მოგებიდან ანარიცხებში ჩარიცხონ ან წარმოადგინონ როგორც მოგება, თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

წლიური წმინდა მოგების განაწილება ხდება წილის პროპორციულად. შესაბამისად გამოიყენება 57.2 მუხლი.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

მუხლი 51. ცნება. საზოგადოების წიგნი

51.1. სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ნომინალური ღირებულება შეესაბამება ათი ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნული ვალუტით, ხოლო ერთი აქციის ნომინალური ღირებულება არის ერთი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით ან მისი მრავალჯერადი.

51.2. სააქციო საზოგადოებამ უნდა აწარმოოს საზოგადოების ყველა დოკუმენტის აღრიცხვა (საზოგადოების წიგნი), რომელშიც აისახება საზოგადოების წესდება, აღირიცხება რეგისტრაციისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია და ყოველი აქცია. თუ აქციები გაცემულია სააქციო ბარათის სახით, მაშინ საზოგადოების წიგნში უნდა აღინიშნოს გაცემის თარიღი, ნომინალური ღირებულება და სააქციო ბარათის ნომერი. თუ არ არის სააქციო ბარათები გაცემული, მაშინ საზოგადოების წიგნში გაკეთებული რეგისტრაცია ცვლის სააქციო ბარათს. ამ შემთხვევებში აქციები სახელობით აქციებად უნდა გაიცეს.

საზოგადოების წიგნში განხორციელებულ ყოველ რეგისტრაციას ხელს უნდა აწერდეს ყველა დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 52. აქციათა სახეები. ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სხვა ფორმები

52.1. ჩვეულებრივი აქციები შეიძლება გაიცეს როგორც წარმომდგენის, ასევე სახელობითი აქციების სახით. სახელობითი აქციები შეიძლება გადაცემულ იქნან სააქციო ბარათზე ინდოსამენტის მეშვეობით ან, თუკი ბარათები არ არის გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებისა და საზოგადოების წიგნში რეგისტრაციის მეშვეობით. გაცემული ჩვეულებრივი აქციების უმცირესი ნომინალური ღირებულება უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში ერთ ხმას საერთო კრებაზე.

52.2. ყველა ჩვეულებრივი აქციის საერთო ნომინალური ღირებულების ოდენობამდე შეიძლება გაიცეს შეღავათიანი (პრივილეგირებული) აქციები, რომლებშიც განსაზღვრულია ჩვეულებრივ აქციებზე უფრო ადრე და უფრო მაღალი დივიდენდების მიღება, მაგრამ ისინი არ იძლევიან ხმის უფლებას საერთო კრებაზე; მიუხედავად ამისა, 52.1 მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად, ნომინალური ღირებულების აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას, თუკი გასულ სამეურნეო წლებშიც აქციონერს არ გამოუყენებია თავისი შეღავათიანი უფლებები. შეღავათიანი აქციები შეიძლება გაიცეს მხოლოდ წარმომდგენზე აქციებად.

52.3. სახელობითი აქციების გადაცემა სხვა პირზე შეიძლება დამოკიდებული იქნეს საზოგადოების თანხმობაზე. საზოგადოების წესდებასა და სააქციო ბარათში ან საზოგადოების წიგნში რეგისტრაციისას უნდა აღინიშნოს ამგვარი თანხმობის აუცილებლობის შესახებ. თანხმობა გაიცემა, თუ საზოგადოების არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. საზოგადოების წესდება შეიძლება დაწვრილებით აწესრიგებდეს თანხმობასთან დაკავშირებულ საკითხებს. თანხმობას იძლევიან დირექტორები სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

52.4. სააქციო საზოგადოებას შეუძლია, ეროვნული ბანკის თანხმობით, საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად წარმომდგენისა და სახელობითი ფასიანი ქაღალდების სახით ასევე გამოუშვას ობლიგაციები, კონვერსიული სესხის ობლიგაციები შემდგომში მათი აქციებად გარდაქმნის უფლებით და იგოლიაციური სესხი შემდგომში წარმომდგენის ან სახელობითი აქციების მიღების უფლებით. თუ ამ ფასიან ქაღალდებზე უფლებები მითითებულია არა სააქციო ბარათში, არამედ რეგისტრირებულია მხოლოდ საზოგადოების წიგნში, მაშინ შეიძლება ეს უფლებები დაფიქსირდეს მათი მფლობელის სახელზე.

52.5. საზოგადოების აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები გაიცემა, სულ ცოტა, ნომინალურ თანხაზე. ნომინალურზე მეტი ღირებულებით გაცემის შემთხვევაში ღირებულებიდან გაცემის ხარჯების გამოკლების შემდეგ, ნამეტი თანხა რჩება და იგი მიემატება სარეზერვო ფონდებს. იგივე წესი მოქმედებს, შესაბამისად, არაფულადი შენატანების დროსაც, რომელთა თანხა აღემატება ნომინალურ ღირებულებას.

მუხლი 53. აქციონერთა უფლებები და მოვალეობები

53.1. აქციონერთა მთავარი მოვალეობაა გადაიხადონ შესატანი განსაზღვრული აქციის მისაღებად. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა მოვალეობებს, რომლებიც შესაბამისი აქციონერების თანხმობას საჭიროებენ.

53.2. აქციონერის წილი მოგებაში განისაზღვრება აქციის ნომინალური ღირებულების შესაბამისად შეღავათიანი უფლებების გათვალისწინებით. სხვა ფასიანი ქაღალდების კაპიტალიდან გამომდინარე ვალდებულებები პირველ რიგში უნდა შესრულდეს. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შესატანის სიდიდის პროპორციულად. შესატანები, რომლებიც სამეურნეო წლის განმავლობაშია შეტანილი, მონაწილეობს შეტანის დღიდან მოგების სამას სამოცდაშეხუთედის პროპორციულად, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

53.3. ჩვეულებრივ, აქციონერები თავიანთ უფლებებს (ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, კონტროლის უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის, ასევე საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება (მუხლი 15.2) ახორციელებენ საერთო კრებაზე.

53.3.1. აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი. თუ მოთხოვნა წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განიხილონ დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე.

53.3.2. საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს, თუ საერთო კრება არ დააკმაყოფილებს ამგვარ მოთხოვნას, მაშინ გადაწყვეტილება სპეციალური შემოწმების ჩატარების შესახებ შეიძლება მიიღოს ამ სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საზოგადოებას ადგილსამყოფელი.

53.3.3. საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ საწარმოს ინტერესების შესაბამისად რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული. თუ დირექტორები კრებას მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში არ მოიწვევენ, აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი.

53.4. აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მან განთავისუფლებას საქმიანობიდან.

მუხლი 54. საერთო კრება

54.1. ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ან 53.3.3 მუხლის შესაბამისად, აქციონერების მოთხოვნით.

54.2. საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების წიგნში შეტანილ უკანასკნელ იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე ოცი დღის ვადაში დირექტორების მიერ ბეჭდვით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერებისთვის მოსაწვევის გაგზავნით. მოწვევასთან ერთად უნდა გამოცხადდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილებების მასალებად; შესაძლო ცვლილებები საზოგადოების წესდებაში უნდა გამოცხადდეს ასევე წინასწარ.

54.3. აქციონერმა თავისი აქციის წარდგენით, ან თუ აქცია არაა გაცემული, სხვა მოწმობის საფუძველზე უნდა დაამტკიცოს თავისი უფლება მიიღოს მონაწილეობა კრების მუშაობაში და ხმის უფლება. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე. დამატების სახით წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აქციის შენახვას ნოტარიუსთან ან რომელიმე ბანკში, რომლებმაც ამ აქციონერს უნდა მისცენ შესაბამისი საბუთი, რომელიც საზოგადოებაში რჩება.

54.4. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას — მოადგილე, მოადგილის არყოფნისას — ერთ-ერთი დირექტორი. კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ ოქმს ადგენს ნოტარიუსი.

54.5. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელთა სულ ცოტა, ნახევარი, თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სულ ცოტა, რვა დღეში, იგივე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გამოცხადებული ან წარმოდგენილი კაპიტალ-კვოტის მიუხედავად, მაინც გადაწყვეტილებაუნარიანია.

54.6. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა. შეცვალოს საზოგადოების წესდება, კერძოდ, საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, საზოგადოების საქმიანობის საგანი და გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;
ბ. მიიღოს გადაწყვეტილებები ბირჟაზე აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვების შესახებ;
გ. მიიღოს გადაწყვეტილება სხვა საზოგადოებებთან შერწყმის შესახებ;
დ. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს (მუხლი 59), აგრეთვე მუხლი 52.4-ის შესაბამისი ღონისძიებათა განხორციელებისას;
ე. მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
ვ. აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლები სამეთვალყურეო საბჭოში;
ზ. დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
თ. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
ი. აირჩიოს აუდიტორი და სპეციალური კონტროლიორი;
კ. მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
ლ. მიიღოს გადაწყვეტილებები ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებენ სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები.

54. 7. 54.6 მუხლში გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის შესაბამისი აქციების მფლობელთა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი.

მუხლი 55. სამეთვალყურეო საბჭო

55.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება, სულ ცოტა, სამი, არა უმეტეს ოცდაერთი წევრისაგან, ამასთან, წევრთა რაოდენობა სამზე გაყოფადი უნდა იყოს. წევრთა ორი მესამედი აირჩევა საერთო კრების მიერ, ხოლო ერთი მესამედი შეიძლება აირჩეს მუშა-მოსამსახურეთაგან (მუშა-მოსამსახურეთაგან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის წესი განისაზღვრება სპეციალური საარჩევნო დებულებით, რომელსაც იღებს საერთო კრება).

55. 2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი საერთო კრების მიერ აირჩევა ოთხი წლის ვადით, მაგრამ უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზე მდებარეობს საზოგადოება, შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი.

55.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს დირექტორი. მას, როგორც აქციონერთა წარმომადგენელს, უნდა ჰქონდეს სამეურნეო საქმიანობის გამოცდილება.

55.4. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ ვერ მოხერხდება გადაწყვეტილების მიღება, მაშინ ერთ-ერთი წევრის ან დირექტორების განაცხადის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს საზოგადოება.

55.5. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას — მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.

55.6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა, რვა დღით ადრე სავარაუდო დღის წესრიგითურთ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი ერთი სხვა წევრით.

55.7. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას — მოადგილეს) შეუძლია, სულ ცოტა, სამი დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გამოცხადებულ წევრთა რაოდენობის მიუხედავად, გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს გამოცხადებულ ან წარმოდგენილ წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. შესაბამისად, გამოიყენება მუხლი 53.5.

55.8. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

ა. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას;
ბ. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით;
გ. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა და მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
დ. სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;
ე. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ინფორმაციას მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის თუ რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვევს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;
ვ. დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა, ასევე მათთან სასამსახურო ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;
ზ. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება და გამოვიდეს საერთო კრების მიერ მიღებული სადავო სამართლებრივი საკითხების წინააღმდეგ. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე ან მის საპირისპიროდ დირექტორების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი;

(გაგრძელება მე-5 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ

(გაგრძელება)

თ. დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

55.9. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

ა. კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება, ისევე როგორც საწარმოების გასხვისება და საქმიანობის შეჩერება.

ბ. უძრავი ქონების და უძრავი ქონებრივის მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა,

გ. ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია,

დ. წლიური ბიუჯეტის, როგორც საგეგმო ბალანსის და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შედგენა, გრძელვადიანი ვალდებულებით — სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება,

ე. ინვესტიციები, რომელთა შესყიდვის ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის ათ პროცენტს,

ვ. სესხების და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას.

ზ. სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია;

თ. სამეურნეო დარგებისა და წარმოების სახეების წამოწყება და შეწყვეტა,

ი. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა,

კ. ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებასა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის გაცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა,

ლ. სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა:

55.10. სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობისათვის გამოიყენება მუხლი 56.4.

მუხლი 56. დირექტორები.

56.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს.

56.2. დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესით. თუ არ არსებობს ასეთი შინაგანაწესი, მაშინ გამოიყენება ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი.

56.3. საქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენენ დირექტორები.

იმ შემთხვევებში, როცა სახეზეა რამდენიმე დირექტორი, და წესდება სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს, დირექტორები მხოლოდ ერთობლივად დებენ გარიგებებს და ასრულებენ ხელმოწერებს. ცალკეულ დირექტორს შეიძლება მიენიჭოს ზოგი გარიგების დადების ან განსაზღვრული სახის საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება. საზოგადოების მიმართ ნების გამოვლენების გამოსახატავად საკმარისია ნების გამოვლენა ერთი დირექტორის მიმართ.

თუ სახეზეა რამდენიმე დირექტორი, მაშინ წესდება შეიძლება აგრეთვე ითვალისწინებდეს, რომ ერთ რომელიმე მათგანს დამოუკიდებლად ან ერთ-ერთ სავაჭრო წარმომადგენელთან ერთად მიენიჭოს საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება, მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ დირექტორებს სავაჭრო წარმომადგენლების გარეშეც შეეძლოთ წარმოადგინონ საზოგადოება.

56.4. დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი, დირექტორები კი პასუხს აგებენ სოლიდარულად. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით უძღვებოდნენ საქმეს. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისგან არ მიუღიათ მათი მოთხოვნების კომპენსაცია.

მუხლი 57. წლიური ანგარიში და მოგების გამოყენება. ქონების მოვლის ვალდებულება

57.1. დირექტორები ადგენენ წლიურ ანგარიშს და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად. თუ მოგების განაწილების გეგმა არ იქნება მიღებული და დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ვერ თანხმდებიან მოგების განაწილების თაობაზე, მაშინ საერთო წმინდა მოგების განაწილების შესახებ შეიძლება მოხსენდეს საერთო კრებას.

საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

57.2. არ შეიძლება მიეცეთ აქციონერებს სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებიდან არ მიუღიათ მათი მოთხოვნების კომპენსაცია.

მუხლი 58. რევიზია

58.1. მორიგი საერთო კრება ყოველწლიურად სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებით ირჩევს აუდიტორიას, რომელიც საზოგადოებისაგან, მისი დირექტორებისაგან და მათი აქციონერებისგან სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

58.2. რევიზია მოიცავს ანგარიშგების, წლიური ანგარიშის და საქმის წარმოების პრაქტიკის შემოწმებას. ყოველგვარი საგანგებო შემთხვევის შესახებ, განსაკუთრებით, სხვა საწარმოებთან საქმიანი ურთიერთობების თაობაზე ინფორმაცია აუცილებლად უნდა მიეწოდოთ აქციონერებს. ჩვეულებრივი წლიური ანგარიში უნდა შემოწმდეს რევიზიის აქტით. რევიზიის აქტიდან უნდა ჩანდეს, რომ სავალდებულო რევიზია ჩატარებულია საზოგადოების წიგნებისა და ჩანაწერების საფუძველზე, ასევე დირექტორების მიერ გაცემული განმარტებებისა და მტკიცებულებების, წლიური ანგარიშისა და სამეურნეო საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე, თუ ამ უკანასკნელში გამოხატულია წლიური ანგარიში, რომელიც შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ წესებს. აუდიტორებმა რევიზიის აქტში უნდა მიუთითონ შემოწმების ადგილი და დღე.

58.3. რევიზორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას გამოიყენება მუხლი 56.4.

მუხლი 59. კაპიტალის შეძენის ღონისძიებები. კაპიტალის გაზრდა საზოგადოების სახსრებიდან

59.1. გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ უნდა განსაზღვრავდეს ნომინალურ თანხას, შესაძლოდ მაღალი გასავლის თანხას, ფასიანი ქაღალდების დაყოფას, აქციების სახეს და მომატების ვადებს. არაფულადი შენატანისას დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შესრულებული შეფასების დასკვნა უნდა წარედგინოს სამეწარმეო რეესტრში საჯარო შემოწმებისთვის.

59.2. საერთო კრებას შეუძლია მოახდინოს კაპიტალის გაზრდა ნებადართული კაპიტალის ფორმით, ე. ი. დირექტორები უფლებამოსილი არიან სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით მომავალი ხუთი სამეურნეო წლის განმავლობაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ გაზარდონ გადაწყვეტილებაში მითითებულ თანხამდე ახალი აქციების გამოცემის გზით. გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს, შეეხება თუ არა და რა მოცულობით შეეხება გაზრდა შეღავათიან ან ჩვეულებრივ აქციებს და წარმომდგენის თუ სახელობით აქციებს.

59.3. 52.4 მუხლის შესაბამისად, კაპიტალის შეძენის ღონისძიებათა შესახებ გადაწყვეტილება, 59.2 მუხლის წინაპირობების არსებობისას, შეიძლება ასევე ნებადართული კაპიტალის სახით იქნას მიღებული.

59.4. 52.4 მუხლის მიხედვით, მუშა-მოსამსახურეებზე აქციების გასაცემად, კაპიტალის შეძენის ღონისძიებათა განსახორციელებლად, ასევე საზოგადოებების შერწყმის გამო საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პირობითი კაპიტალის დაშვების შესახებ. გადაწყვეტილება უნდა განსაზღვრავდეს პირობის დადგომის დროს და მისი გამოყენების წინაპირობებს ისე, რომ ამ პირობების დადგომა არ იყოს დამოკიდებული დირექტორებზე ან სამეთვალყურეო საბჭოზე. გარდა ამისა, გადაწყვეტილება უნდა განსაზღვრავდეს გასაცემი აქციების სახეს.

59.5. ნებადართული კაპიტალი შეიძლება დაშვებულ იქნას შესაბამისი ჩვეულებრივი ან შეღავათიანი აქციების ნახევრამდე ოდენობით, ხოლო პირობითი კაპიტალი მხოლოდ 52.4 მუხლით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების თანხის ან არა უმეტეს საწესდებო კაპიტალის საერთო თანხის ოდენობამდე.

59.6. კაპიტალის მომატების საკითხი შეიძლება ისე გადაწყდეს, რომ სარეზერვო ფონდები გარდაიქმნეს საწესდებო კაპიტალად. ამ შემთხვევაში დაუშვებელია აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების აკრძალვა.

59.7. საქციო კაპიტალის მომატების ან 55.1 მუხლით განსაზღვრული კაპიტალის შეძენის ღონისძიებების მეშვეობით კაპიტალის შეძენის ყველა შემთხვევაში აქციონერებს აქვთ აქციების უპირატესი შეძენის უფლება ერთმანეთის მიმართ ნომინალური თანხით, რაც განისაზღვრება გაზრდილი კაპიტალის ღირებულების შესაბამისად. თუ გაიცემა ჩვეულებრივი ან შეღავათიანი აქციები ან აქციონერებს მიენიჭებათ 55.1 მუხლით გათვალისწინებული უფლებები, უპირატესი მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ჩვეულებრივ ან შეღავათიან აქციონერებს. ამ წესიდან გამონაკლისების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს საერთო კრება 54.6 და 54.7 მუხლების შესაბამისად.

თავი მეხუთე

კოოპერატივი

მუხლი 60. ცნება

60.1. კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივებს მიეკუთვნება:

ა. ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;

ბ. სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;

გ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები);

დ. მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები (სამომხმარებლო კოოპერატივები);

ე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები.

60.2. კოოპერატივის წევრს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სხვა კოოპერატივში, თუ ეს უკანასკნელი მოწოდებულია ემსახუროს პირველი კოოპერატივის წევრთა შემოსავლის მიღების ან მათი მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

60.3. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

მუხლი 61. პაი. კოოპერატივში გაწევრიანება

61.1. კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობა განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ. ყოველი პაი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს ორმოცდაათზე. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.

61.2. სამეწარმეო რეესტრში კოოპერატივის რეგისტრაციის შემდეგ კოოპერატივში წევრად მისაღებად აუცილებელია შესვლის მსურველის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება კოოპერატივში შესვლის თაობაზე.

მსურველი პირის მიღებისას კოოპერატივის გამგეობამ განცხადება უნდა გადასცეს სამეწარმეო რეესტრს კოოპერატივის წევრის სიაში ჩასაწერად. წევრობა წარმოიშობა განცხადების საფუძველზე რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

61.3. განცხადება არაორაზროვნად უნდა ასახავდეს კოოპერატივის წევრის ვალდებულებას, რომ იგი კანონისა და წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შესატანს (პაის). თუ წესდებით განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის წევრებმა შეუზღუდავად ან შეზღუდულად საგარანტიო თანხის ოდენობით დამატებითი შესატანები უნდა შეიტანონ, მაშინ განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად წევრად შემსვლელები გადაიხდიან დამატებით შესატანს შეუზღუდავად ან წესდებაში დათქმულ საგარანტიო თანხამდე ოდენობით.

მუხლი 62. წევრის გასვლა კოოპერატივიდან

62.1. ყოველ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება. ამის შესახებ განცხადების საფუძველზე. გასვლა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის ბოლოს. განცხადება გასვლის შესახებ უნდა გაკეთდეს წერილობით გასვლამდე, სულ ცოტა, სამი თვით ადრე. წესდებით შეიძლება დადგინდეს უფრო ხანგრძლივი ვადა, ოღონდ არა უმეტეს ხუთი წლისა.

62.2. თუ წესდებაში შეიტანება ისეთი ცვლილება, რომელიც არსებითად ცვლის საწარმოს საქმიანობის საგანს, მაშინ კოოპერატივიდან გასვლა შეუძლია:

ა. საერთო კრების მონაწილე კოოპერატივის ყოველ წევრს, თუ მან უთანხმოება გადაწყვეტილების მიმართ ოქმში შეიტანა, ან თუ ოქმში მისი ჩაწერა უარყოფილ იქნა;

ბ. საერთო კრებაზე გამოუცხადებელ კოოპერატივის ყოველ წევრს, თუ იგი უსამართლოდ არ იქნა დაშვებული კრებაზე, ან თუ კრება არ იყო ჯეროვნად მოწვეული, ანდა თუ გადაწყვეტილების საგანი სათანადოდ არ იქნა გამოცხადებული.

62.3. 62.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კოოპერატივიდან გასვლა ფორმდება წერილობით. განცხადება შეიძლება მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან, მაგრამ გასვლა ფორმდება სამეურნეო წლის ბოლოს.

62.4. კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან სხვა კოოპერატივში წევრობის გამო, თუ ეს კოოპერატივი იმავე სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს და იმავე სახის საქმიანობას ეწევა. გარიცხვა მოხდება სამეურნეო წლის ბოლოს გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე. წესდებით შეიძლება განისაზღვროს კოოპერატივიდან გარიცხვის სხვა საფუძვლებიც.

62.5. გამგეობა მოვალეა, სამეწარმეო რეესტრს წარუდგინოს ინფორმაცია კოოპერატივის წევრის გასვლის თაობაზე, სულ ცოტა, ექვსი კვირით ადრე იმ სამეურნეო წლის ბოლომდე, რომლის დამთავრებამდეც ხდება გასვლა. მანვე უნდა გადასცეს წერილობითი საბუთი, რომ გასვლა მოხდა დროულად.

62.6. კოოპერატივის წევრთა სიაში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეტანილი ის დასაბუთებული მიზეზი, რამაც გამოიწვია კოოპერატივის წევრის გასვლა. კოოპერატივის წევრი კოოპერატივიდან გასულად ითვლება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

62.7. გამსვლელთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება ბალანსის საფუძველზე გასვლის დღისათვის. თუ კოოპერატივიდან გასვლა ხდება სამეურნეო წლის მანძილზე, მაშინ საფუძვლად აიღება ბოლო ბალანსი. კოოპერატივის წევრის აქტივები უნდა ანაზღაურდეს გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში; კოოპერატივის რეზერვებისა და სხვა ქონების მიმართ მას, თანახმად ამ მუხლის მე-3 აბზაცისა, არა აქვს მოთხოვნის უფლება.

თუ ვალების დასაფარავად საკმარისი არ არის მთელი ქონება რეზერვებისა და აქტივების ჩათვლით, მაშინ კოოპერატივიდან გასულმა წევრმა კოოპერატივს უნდა გადაუხადოს თავისი წილი ფულადი თანხიდან. ეს წილი დაიანგარიშება კოოპერატივის წევრთა რაოდენობის მიხედვით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ კოოპერატივის წევრებს, რომლებმაც პაი სრულად გადაიხადეს, გასვლის შემთხვევაში მიეცეთ პაის უკუმოთხოვნის უფლება ამ მიზნით წლიური ნაშთის საფუძველზე შექმნილი რეზერვიდან. ეს მოთხოვნა შეიძლება დამოკიდებული იყოს კოოპერატივის წევრად ყოფნის სტაჟზე ან შეიძლება წესდება სხვა პირობებსა და მოთხოვნის შეზღუდვებს ითვალისწინებდეს.

62.8. კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს სამეურნეო წლის განმავლობაშიც მისი პაი წერილობითი შეთანხმებით გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, თუკი პრეტენდენტი მის მაგივრად ხდება ან უკვე არის კოოპერატივის წევრი. წესდება შეიძლება კრძალავდეს ან დამატებით პირობებს უყენებდეს ამგვარ გადაცემას. გამგეობამ ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს სამეწარმეო რეესტრს.

პაის გადაცემა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სიაში შეტანილი გამსხვისებელ წევრთან. გასვლის თარიღად ითვლება რეგისტრაციის დღე.

62.9. კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე. წევრობა მთავრდება იმ სამეურნეო წლის დასრულებით, როცა მოხდა სამკვიდროს გახსნა. რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია საერთო კრებაზე ხმის უფლება განახორციელონ ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კოოპერატივის წევრი ხდება მისი მემკვიდრე. წესდებით წევრობის გაგრძელება შეიძლება დამოკიდებული გახდეს უფლებამონაცვლის პიროვნულ ფაქტორებზე. რამდენიმე მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში შეიძლება ასევე იყოს გათვალისწინებული, რომ წევრობა შეწყდება, თუ იგი არ გადაეცემა ერთ-ერთ მემკვიდრეს წესდებით გათვალისწინებულ ვადებში.

გამგეობამ კოოპერატივის წევრთა სიაში რეგისტრაციისთვის დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს სამეწარმეო რეესტრს შეტყობინება კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შესახებ.

მუხლი 63. საერთო კრება

63.1. კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეების გამო ახორციელებენ საერთო კრებაზე, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

63.2. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო მეტი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები. არჩევნებისათვის წესდებამ შეიძლება გაითვალისწინოს გამონაკლისი წესი.

63.3. ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს რამდენიმე ხმის უფლების მიცემას. იგი უნდა დაუწესდეს მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც განსაკუთრებით უწყობენ ხელს კოოპერატივების საქმიანობის განვითარებას. რამდენიმე ხმის უფლების მიცემის პირობები წესდებით უნდა იქნეს დადგენილი. სამ ხმაზე მეტი უფლების მიცემა დაუშვებელია.

63.4. წევრმა პირადად უნდა განახორციელოს თავისი ხმის უფლება. არაქმედუნარიანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანი ფიზიკური პირების ხმის უფლებას, აგრეთვე იურიდიულ პირთა ხმის უფლებას განახორციელებს მათი კანონით გათვალისწინებული წარმომადგენელი, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტურ საზოგადოებათა ხმის უფლებას ახორციელებს წარმომადგენლობაზე საამისოდ უფლებამოსილი პირი.

წევრმა ან მისმა წარმომადგენელმა შეიძლება გასცეს მინდობილობა კენჭისყრაზე. მინდობილობა გაიცემა წერილობით. რწმუნებულს აქვს უფლება შეცვალოს არა უმეტეს ორი წევრისა. რწმუნებულისათვის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პიროვნულ წინაპირობებსაც, კერძოდ, გამოირიცხოს იმ პირთა უფლებამოსილება, რომლებიც საქმიანობის სახით შესთავაზებენ ხმის უფლების განხორციელებას, ან საერთოდ გამორიცხოს წარმომადგენლობა რწმუნებულების გზით.

63.5. არავის არა აქვს უფლება თავისთვის ან სხვა პირისათვის განახორციელოს ხმის უფლება, თუ არსებობს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მოსმენილ იქნეს მისი ან მისი წარმომადგენლის ანგარიში, ან უნდა გათავისუფლდეს ვალდებულებებისაგან, ან რომ კოოპერატივმა პრეტენზიები უნდა წამოაყენოს მისი ან შეცვლილი წევრის მიმართ.

63.6. საერთო კრებას იწვევს გამგეობა, თუ წესდებით ან ამ კანონით სხვა პირებიც არ არიან საამისოდ უფლებამოსილნი.

საერთო კრება, გარდა წესდებითა და ამ კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც, თუ ამას კოოპერატივის ინტერესები მოითხოვს.

63.7. საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წევრთა მეათედი ან წესდებაში საამისოდ აღნიშნული უფრო მცირე ნაწილი მათ მიერ ხელმოწერილ განცხადებაში მოითხოვს კრების მოწვევას კონკრეტული მიზნის მითითებით.

თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც აქვს კოოპერატივს იურიდიული მისამართი, შეუძლია საერთო კრების მოწვევის ან დღის წესრიგის გამოცხადების უფლებამოსილება მიანიჭოს იმ წევრებს, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა. კრების მოწვევაზე ან გამოცხადებაზე სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება უნდა გამოქვეყნდეს.

63.8. საერთო კრება მოიწვევა, სულ ცოტა, სამი კვირის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ოფიციალურ ანდა წესდებით განსაზღვრულ გაზეთში გამოქვეყნებით.

საერთო კრების დღის წესრიგი გამოცხადდება კრების მოწვევისას. იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც არ გამოცხადდება კრებამდე 3 დღით ადრე, გადაწყვეტილებები არ მიიღება. გამონაკლისია გადაწყვეტილებები კრების წარმართვის, აგრეთვე საგანგებო საერთო კრების მოწვევის შესახებ.

63.9. საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უნდა შედგეს ოქმი. იგი უნდა შეიცავდეს კრების ჩატარების ადგილსა და დღეს, კრების თავმჯდომარის სახელსა და გვარს, აგრეთვე მითითებას კენჭისყრის სახეობისა და შედეგების შესახებ და თავმჯდომარის დადგენილებას გადაწყვეტილების მიღებისა და ოქმის მიმართ სხვა განცხადებების შესახებ.

ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და გამგეობის დამსწრე წევრები და ერთვის კრების მოწვევის მასალები.

ყოველ წევრს უნდა მიეცეს უფლება გაეცნოს საოქმო ჩანაწერს. ოქმი უნდა ინახებოდეს კოოპერატივში და ეცნობოს სამეწარმეო რეესტრს.

63.10. საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს. იგი იღებს გადაწყვეტილებას წლიური მოგების გამოყენების, ან წლიური დანაკლისის დაფარვის თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილებას გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცების შესახებ. საერთო კრება უნდა ჩატარდეს სამეურნეო წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში.

წლიური ბალანსი, მოხსენება მდგომარეობის შესახებ და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება კრების ჩატარებამდე უნდა გამოიკრას, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე კოოპერატივის ოფისში ან გამგეობის მიერ განსაზღვრულ სხვა რომელიმე ადგილას, რათა წევრებს შეეძლოთ გაეცნონ მათ. ყოველ წევრს აქვს უფლება საკუთარი ხარჯით მოითხოვოს წლიური ბალანსის, მდგომარეობის ამსახველი მოხსენებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების ასლები.

63.11. მხოლოდ საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილების შეტანის ან ვადიანი კოოპერატივისათვის ვადის გაგრძელების თაობაზე, ამასთან, გადაწყვეტილება სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

ქვემოთ მოცემული ცვლილებების შესატანად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე ხმების უბრალო უმრავლესობა (თუ წესდებაში სხვა რამ არ იქნება მითითებული):

ა. საქმიანობის საგნის შეცვლა;

ბ. პაის გაზრდა;

გ. რამდენიმე სავალდებულო პაით მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;

დ. დამატებითი შესატანის გადახდის მოვალეობის შემოღება ან გაფართოება;

ე. კოოპერატივიდან გასვლის ვადის გაგრძელება 2 წელზე მეტი ვადით;

ვ. რეზერვებში გამსვლელ წევრთა მონაწილეობის დაწესება ან გაფართოება;

ზ. რამდენიმე ხმის უფლების დაწესება ან გაფართოება;

თ. პაის დაყოფა;

წესდების იმ ცვლილებისათვის, რომლითაც შემოღებული ან გაფართოებულია წევრის მოვალეობა კოოპერატივის მოწყობილობების ან სხვა საქმიანობის გამოყენების ანდა სამსახურის შემოღების შესახებ, საჭიროა ხმების ცხრა მეათედის უმრავლესობა. წესდება შეიძლება სხვა მოთხოვნებსაც ითვალისწინებდეს. კოოპერატივის ადგილსამყოფელის მიხედვით სამეწარმეო რეესტრში შეტყობინებამდე გადაწყვეტილებას ძალა არა აქვს.

მუხლი 64. წარმომადგენელთა კრება

64.1. თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება, თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, შეიძლება წესდებამ განსაზღვროს, რომ საერთო კრების ნაცვლად ჩატარდეს წარმომადგენელთა კრება.

64.2. წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი ფიზიკური ქმედუნარიანი პირი, რომელიც კოოპერატივის წევრია, ოღონდ არ არის არც გამგეობაში და არც სამეთვალყურეო საბჭოში.

64.3. წარმომადგენელთა კრება შედგება, სულ ცოტა, ორმოცდაათი წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ირჩევენ კოოპერატივის წევრები, წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება თავიანთი უფლებამოსილება სხვა პირებს გადასცენ. მათ არც რამდენიმე ხმის უფლება აქვთ.

64.4. წარმომადგენლები აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით; არჩევნებისას წევრთა წარმომადგენლობისათვის შესაბამისად გამოიყენება 63.4 მუხლი. პირი წარმომადგენლად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ოთხ წელზე მეტი ვადით.

წესდებამ უნდა განსაზღვროს:

ა. რამდენ წევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი;

ბ. წარმომადგენლობის დრო.

სხვა უფრო დაწვრილებითი დებულებები არჩევნების წესის შესახებ, შედეგების განსაზღვრის ჩათვლით, შეიძლება ჩამოყალიბდეს გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებულ საარჩევნო დებულებაში. ამისათვის საჭიროა საერთო კრების თანხმობა. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ერთხმად.

64.5. ყოველი წარმომადგენლისათვის არჩეულ უნდა იქნეს თითო სათადარიგო პირი. თუ წარმომადგენელი განთავისუფლდება ვადის დამთავრებამდე, მაშინ მას შეცვლის სათადარიგო პირი. ეს პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ წარმომადგენელთან ერთად წარმომადგენელთა არჩევნებისათვის დადგენილი წესებით უფლებამოსილების იმავე ვადით.

64.6. არჩეულ წარმომადგენელთა და არჩეულ სათადარიგო პირთა სია ორი კვირა უნდა იყოს გამოკრული კოოპერატივის ოფისში, რათა წევრები გაეცნონ მას. ამის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ოფიციალურ ან წესდებით განსაზღვრულ გაზეთში. სიის გამოკვრის ვადა იწყება გამოქვეყნების დღიდან. ყოველ წევრს მისი მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს სიის ასლი.

მუხლი 65. სამეთვალყურეო საბჭო

65.1. კოოპერატივს აქვს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება საერთო კრების მიერ დამსწრე ხმების უბრალო უმრავლესობით არჩეული არანაკლებ 3 და არა უმეტეს 15 წევრისაგან. წევრთა რაოდენობა განისაზღვრება წესდებით.

საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრებს უფლება აქვთ საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, მიიღონ განსაზღვრული გასამრჯელო.

კრებამ შეიძლება გააუქმოს საბჭოს წევრობა საარჩევნო ვადის გასვლამდე. გადაწყვეტილებას სჭირდება დამსწრეთა ხმების სამი მეოთხედი.

65.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება იმავდროულად იყვნენ გამგეობის წევრები ან მათი მოადგილეები, ან სხვაგვარად წარმართონ კოოპერატივის საქმეები.

გამგეობიდან გასული წევრები მათი ანგარიშის დამტკიცებამდე არ შეიძლება არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოში.

65.3. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გამგეობას თავისი საქმეების წარმოებაში მართვის ყველა დარგში და ამ მიზნით იღებს ინფორმაციას კოოპერატივის საქმეების მიმდინარეობის შესახებ. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამგეობისაგან ანგარიში და უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული პირების მეშვეობით შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეამოწმოს წლიური ბალანსი, მდგომარეობის ანგარიში და წინადადებები წლიური მოგების განაწილების შესახებ. შემოწმების შედეგები მან უნდა მოახსენოს საერთო კრებას წლიური ბალანსის დამტკიცებამდე.

სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოიწვიოს საერთო კრება, თუ ეს აუცილებელია კოოპერატივის ინტერესებისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს სხვა ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს წესდებით. საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება თავიანთი ფუნქციების შესრულება გადააბარონ სხვა პირებს.

65.4. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია წარმოადგინოს კოოპერატივი გამგეობასთან ერთად მესამე პირთან ხელშეკრულებების დადებისას და წარმართოს პროცესები კოოპერატივის წევრების წინააღმდეგ, თუ ამას დაადგენს საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება ყოველ კრედიტს, რომელიც მიეცემა გამგეობის რომელიმე წევრს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტის გაცემის შემთხვევაში გამგეობის წევრის დადგომისას თავდებად.

მუხლი 66. გამგეობა. დირექტორები

66.1. კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ ორი დირექტორისაგან (გამგეობის წევრები). დირექტორები შეიძლება არ იყვნენ კოოპერატივის წევრები. წესდება შეიძლება სხვა პირობებსაც ითვალისწინებდეს.

66.2. დირექტორებს ირჩევენ 4 სამეურნეო წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

66.3. სხვა დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება მუხლი 9.

მუხლი 67. წლიური ანგარიში

კოოპერატივის წლიური ანგარიშის შემოწმებისას შესაბამისად გამოიყენება მუხლი 58.

მუხლი 68. მოგებისა და ზარალის განაწილება

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შესრულებული შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი — მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა (ზარალის გამო შემცირებული) პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება.

წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

დანართი I

1. წლიური ბალანსის სტრუქტურა

1. 1. თუ დარგი არ განსაზღვრავს სხვაგვარ სტრუქტურას, წლიურ ბალანსში ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი მუხლები:

აქტივის მხარეს:

ა. საზოგადოების კაპიტალის ჯერ კიდევ შეუტანელი შესატანები, მათ შორის შესატანები, რომელთა შეტანის ვადა დამდგარია;

ბ. ძირითადი საშუალებები:

I. მატერიალური საშუალებები:

1. საწარმოო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მსგავსი უფლებები და შენობა-ნაგებობები;
2. არასაწარმოო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მსგავსი უფლებები და საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები;
3. მიწის ნაკვეთები და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მსგავსი უფლებები შენობა-ნაგებობების გარეშე;
4. შენობა-ნაგებობები სხვის მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც არ მიეკუთვნება პირველ და მეორე ქვეპუნქტებს;
5. მანქანები და დანადგარები;
6. სასამსახურო მოწყობილობები;
7. დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი.

II. არამატერიალური საშუალებები

1. კონცესიები, ინტელექტუალური საკუთრება და ლიცენზიები;
2. საფირმო ღირებულება.

III. ფინანსური დაბანდებანი:

1. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში;
2. ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
3. ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული, მათ შორის, მიწის გირავნობით უზრუნველყოფილი სესხები.

გ. საბრუნავი საშუალებები:

I. საწარმოო მარაგები:

1. ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები;
2. დაუმთავრებელი წარმოება;
3. მზა პროდუქცია, საქონელი;

II. სხვა საბრუნავი საშუალებები:

1. მიმწოდებლებსა და მენარდეებზე გაცემული ავანსები;
2. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნები;
3. თამასუქები;
4. ჩეკები;
5. ნაღდი ფული სალაროში და ეროვნულ ბანკში ანგარიშზე;
6. ფულადი საშუალებანი სხვა ბანკებში ანგარიშებზე;
7. სხვა ფასიანი ქაღალდები;
8. მოთხოვნები მეკავშირე (შვილობილი და სხვა) საწარმოებისადმი;
9. საწარმოს ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე მოთხოვნები;
10. საწარმოს პარტნიორებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე მოთხოვნები;
11. სხვა მოთხოვნები;
12. სხვა მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები.

დ. მომავალი პერიოდის ხარჯები;

ე. საბალანსო ზარალი;

პასივის მხარეს:

ა. საკუთარი კაპიტალი:

I. კაპიტალი;

II. სარეზერვო ფონდი:

1. კანონით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდი;
2. ნებაყოფლობითი სარეზერვო ფონდი;

III. მიზნობრივი დაფინანსება;

IV. გასული წლის გაუნაწილებელი მოგება და გასული წლის დაუფარავი ზარალი;

V. სამეურნეო წლის მოგება და ზარალი;

ბ. სოციალური უზრუნველყოფის ფონდები:

1. საპენსიო ფონდი;
2. სხვა ფონდები;

გ. უცხო კაპიტალი:

I. სესხები:

1. გრძელვადიანი;
2. მოკლევადიანი;

II. ვალდებულებები ბანკების წინაშე

1. გრძელვადიანი;
2. მოკლევადიანი;

მათ შორის ჰიპოთეკით უზრუნველყოფილი.

III. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებები;

IV. თამასუქებიდან წარმოშობილი ვალდებულებები;

V. ვალდებულებები პარტნიორების წინაშე;

VI. მიღებული ავანსები;

VII. ვალდებულებები მეკავშირე (შვილობილი და სხვა) საწარმოების წინაშე;

VIII. სხვა ვალდებულებები;

დ. მომავალი პერიოდის შემოსავლები.

1. 2. თუ მეწარმეს არა აქვს რომელიმე მუხლში გათვალისწინებული მონაცემები, მაშინ ეს მუხლი არ შეივსება.

1. 3.. თუ მონაცემი განეკუთვნება რამდენიმე მუხლს, მაშინ იმ მუხლში, რომელშიც ის იქნება წარმოდგენილი, აღინიშნება სხვა მუხლისადმი მისი მიკუთვნების შესახებ, თუკი ეს საჭიროა გასაგები და ნათელი წლიური ბალანსის შესადგენად. მოთხოვნები და ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების მიმართ, როგორც წესი, ასე უნდა იქნენ წარმოდგენილი; თუ ისინი სხვა მუხლებშია მითითებული, მაშინ ამის შესახებ უნდა აღინიშნოს.

1. 4. ჩამოწერები, ფასშესწორებები, სარეზერვო ფონდები და გადმორიცხვები, სპეციალური მუხლები ფულად-სარეზერვო წილით უკვე წლიურ ბალანსში უნდა იყოს მოცემული. ასეთივე წესი მოქმედებს ფულადი რეზერვებიდან ფულის გახარჯვისას, აგრეთვე ფულად რეზერვებში გადმორიცხვისას, რომლებიც კანონის ან საზოგადოების ხელშეკრულების შესაბამისად უნდა განხორციელდეს ან ხორციელდება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. აქტივის მუხლების გადაჭარბება პასივის მუხლებზე (საბალანსო მოგება) ან პასივის მუხლების გადაჭარბება აქტივის მუხლებზე (საბალანსო ზარალი) წლიური ბალანსის ბოლოს გაუყოფლად და ცალკე უნდა იქნეს გამოყვანილი.

1. 5. თუ პასივის მხარეს არ არის წარმოდგენილი, წლიურ ბალანსში სრული ოდენობით ცალკე უნდა აღინიშნოს:

ა) ვალდებულებები, გამომდინარე თამასუქების გადაცემიდან და გადაყვანიდან;

ბ) ვალდებულებები, გამომდინარე თავდებობიდან, თამასუქიდან და საჩეკო თავდებობიდან;

გ) ვალდებულებები, გამომდინარე საგარანტიო ხელშეკრულებებიდან;

დ) სხვისი ვალდებულებებისთვის გარანტიის მიცემიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა;

(დასასრული მე-6 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ

(დასასრული)

ე) გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებები უნდა შეფასდეს დანახარჯების მიხედვით შემდგომ საანგარიშო პერიოდში.

ისინი მაშინაც უნდა აღინიშნოს, როცა მათ უპირისპირდება ეკვივალენტური უკუმოთხოვნები. თუ არსებობს ვალდებულება ან პასუხისმგებლობა მეკავშირე საწარმოების მიმართ, მაშინ ეს მიეთითება ცალკე შენიშვნის სახით თანხის ჩვენებით.

2. ნორმები წლიური ბალანსის ცალკეული მუხლების შესახებ

2. 1. ძირითადი საშუალებების შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის საგნები, რომლებიც ხელშეკრულების დადების დღეს განისაზღვრა საზოგადოების საქმიანობისათვის ხანგრძლივად გამოსაყენებლად, შემოსავალ-გასავლები, ანარიცხები, სამეურნეო წლისათვის გაკეთებული ჩამოწერები, აგრეთვე გადარიცხვები სხვა ანგარიშზე ძირითადი საშუალებების მუხლებთან ცალკე უნდა იყოს მოყვანილი.

2. 2. მონაწილეობად ითვლება წილი საზოგადოებაში, რომლის ნომინალური ღირებულება მთლიანად აღწევს ამ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მეოთხედ ნაწილს.

2. 3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ცალკე უნდა იყოს მითითებული მონაწილეობის ან ყველა სახეობის აქციის მთელი ნომინალური ღირებულება.

2. 4. სარეზერვო ფონდების შემთხვევაში განცალკევებით უნდა იყოს მოყვანილი:

1. თანხები, რომლებიც საზოგადოების კრებამ დაადგინა წინა წლის საბალანსო მოგებიდან;

2. თანხები, რომლებიც ჩაიწერა სამეურნეო წლის წლიური ნაშთიდან;

3. თანხები, რომლებიც იხარჯება საფინანსო წლისათვის;

2. 5. სარეზერვო ფონდები შეიძლება შეიქმნას გაუთვალისწინებელი ვალდებულებებისათვის და დაუმთავრებელი გარიგებებიდან მოსალოდნელი ზარალისათვის. გარდა ამისა, შეიძლება შეიქმნას ფონდები:

ა) სამეურნეო წელს აუთვისებელი რემონტის, დასუფთავების, რესტავრაციის, კეთილმოწყობის ხარჯებისათვის, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა იქნას გამოყენებული;

ბ) გარანტიებისათვის, რომლებიც სამართლებრივი ვალდებულების გარეშე წარმოიშვა; ეს ფონდები ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი მათი მიზნის დეტალური აღნიშვნით, სხვა მიზნებისთვის ფონდები არ შეიძლება შეიქმნას. „საპენსიო ფონდის“ მუხლის სახელწოდებით წარმოდგენილ უნდა იქნეს ფონდები მიმდინარე პენსიებისათვის და პენსიების მოთხოვნის უფლებებისთვის.

2. 6. მოთხოვნები არ შეიძლება გამოიქვითოს ვალდებულებებით, გადაუხდელი მომსახურებები — ავანსით, ხოლო უფლებები მიწის ნაკვეთზე — მიწის ნაკვეთის დატვირთვით. დანაზოგები, ფასშესწორებები და ფონდები არ შეიძლება ვალდებულებებად იქნეს ნაჩვენები.

2. 7. დანახარჯებისა და შემოსულობათა გამმიჯნავი მუხლები შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ:

ა) აქტივის მხარეს ბალანსის დახურვის წინა დღეს, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ დანახარჯებს ამ დღის შემდეგ რომელიმე განსაზღვრული დროისათვის;

ბ) პასივის მხარეს შემოსავლები ბალანსის დახურვის წინა დღეს, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ შემოსავალს რომელიმე განსაზღვრული დროისათვის ამ დღის შემდეგ.

3. ძირითად საშუალებათა საგნების ღირებულება

3. 1. ძირითად საშუალებათა საგნები უნდა ჩაიწეროს შეძენის ან დამზადების ხარჯებით, ჩამოწერისა ან ფასშესწორებების გამოკლებით. შემოსავალი მოყვანილი უნდა იყოს შეძენის და დამზადების ხარჯებით.

3. 2. დამზადების ხარჯების გამოთვლისას შეიძლება გარკვეულწილად შეიტანონ ცვეთა და ღირებულების სხვაგვარი შემცირება, აგრეთვე წარმოებისა და მმართველობის ხარჯების ის ნაწილი, რომლებიც დამზადების პერიოდს ემთხვევა; გასაღების ხარჯები არ ითვლება წარმოებისა და მმართველობის ხარჯებად.

3. 3. არაქონებრივი შესატანებისათვის აქტივის მუხლი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაიწეროს, როცა ისინი შეძენილია სასყიდლით.

3. 4. საზოგადოების დაარსებისა და კაპიტალის შესაქმნელად გაწეული ხარჯები არ შეიძლება აქტივის მუხლებად იქნეს ჩაწერილი. საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის ამოქმედების ხარჯები შეიძლება მიღებულ იქნეს ძირითადი საშუალების ხარჯებში. თანხა ცალკე უნდა იყოს მითითებული და ყოველ მომდევნო სამეურნეო წელს ჩამოწერების მეშვეობით მინიმუმ ერთი მეხუთედით უნდა დაიფაროს.

3. 5. საქმეების და საფირმო ღირებულებისათვის პრინციპულად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქტივის მუხლები. თუკი საზოგადოების ფირმის მიღებისათვის გაწეული საზღაური აღემატება საზოგადოების ცალკეული ქონებრივი ობიექტის ღირებულებას მიღების დროისათვის, მაშინ შეიძლება განსხვავება აღინიშნოს ძირითადი საშუალებათა მუხლებში „საფირმო ღირებულებად“. თანხა ცალკე უნდა იქნეს წარმოდგენილი და ყოველ მომდევნო სამეურნეო წელს ჩამოწერების მეშვეობით მინიმუმ ერთი მეხუთედით უნდა დაიფაროს.

4. ჩამოწერები; ფასშესწორებები

4. 1. ძირითად საშუალებათა საგნებისათვის, რომელთა გამოყენება დროით არის შეზღუდული, შეძენისა ან დამზადების ხარჯები უნდა შემცირდეს გეგმაზომიერი ჩამოწერებით ან ფასშესწორებებით. შეძენის და დამზადების ხარჯები გეგმამ უნდა გაანაწილოს სამეურნეო წლებზე სათანადო საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების პრინციპების შესაბამისი ჩამოწერის მეთოდის მიხედვით, რომლებშიც საგანი სავარაუდოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული,

4. 2. ძირითად საშუალებათა საგნების მიმართ, მიუხედავად იმისა, შეზღუდულია თუ არა მათი გამოყენება დროით, შეიძლება განხორციელდეს არაგეგმიური ჩამოწერები და ფასშესწორებები, რათა საგნები ჩაიწეროს:

ა) უფრო დაბალი ღირებულებით, რომელიც თან ერთვის მათ ბალანსის დახურვის დღეს, ან

ბ) უფრო დაბალი ღირებულებით, რომელიც საშემოსავლო და მოგებიდან გადასახადით დაბეგვრის მიზნისთვის დასაშვებად ითვლება; ისინი უნდა განხორციელდეს სავარაუდოდ ხანგრძლივი ფასშემცირებისას. უფრო დაბალი ღირებულება შეიძლება შენარჩუნდეს მაშინაც, თუ უკვე აღარ არსებობს არაგეგმიური ჩამოწერებისა და ფასშესწორებების საფუძვლები.

5. საბრუნავ საშუალებათა საგნების ღირებულება

5. 1. საბრუნავ ქონებრივ საშუალებათა საგნები უნდა ჩაიწეროს შეძენისა და დამზადების ხარჯებით, თუ დაშვებული არ არის უფრო დაბალი ღირებულებით ჩაწერა. თუ ეს შეესაბამება სათანადო საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების პრინციპებს, სარეზერვო ქონების ანალოგიური საგნების ღირებულების ჩაწერისათვის შეიძლება მიეწეროს, რომ პირველად ან ბოლოს შეძენილი ან დამზადებული საგნები პირველ რიგში ან სხვა განსაზღვრული რიგის მიხედვით უკვე გამოყენებული ან გასხვისებულ იქნა.

5. 2. თუ შეძენის ან დამზადების ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე ღირებულება, რომელიც გამომდინარეობს ბალანსის დღეს საბირჟო ან საბაზრო ფასიდან, მაშინ უნდა ჩაიწეროს ამ დროისთვის ყველაზე დაბალი ფასი. თუ საბირჟო ან საბაზრო ფასი არ არის განსაზღვრული, ხოლო შეძენის ან დამზადების ხარჯები აღემატება ღირებულებას, რომელიც აქვთ საგნებს ბალანსის დახურვის დღეს, მაშინ უნდა ჩაიწეროს ეს ღირებულება.

საბრუნავ საშუალებათა საგნები შეიძლება ჩაიწეროს უფრო დაბალი ღირებულებით, თუ დაბალი ღირებულება

ა) გონივრული კომერციული შეფასების მიხედვით, აუცილებელია უახლოეს მომავალში ფასების მერყეობით გამოწვეული ამ საგნებზე ფასცვლილებების თავიდან ასაცილებლად, ან

ბ) დასაშვებად მიიჩნევა საშემოსავლო და მოგებიდან გადასახადის საფუძვლებიდან გამომდინარე.

უფრო დაბალი ღირებულება შეიძლება შენარჩუნდეს მაშინაც, როცა მისი საფუძველი უკვე აღარ არსებობს.

6. პასივის მუხლების ჩაწერა

6. 1. საზოგადოების კაპიტალი უნდა ჩაიწეროს ნომინალური ღირებულებით

6. 2. ვალდებულებები უნდა ჩაიწეროს მათი უკან დასაბრუნებელი თანხით, ხოლო სარენტო ვალდებულებები — მათი ნაღდი ღირებულებით.

6. 3. თუ ვალდებულებების ან სესხების უკან დასაბრუნებელი თანხა უფრო მეტია, ვიდრე გასაცემი თანხა, მაშინ შეიძლება სხვაობა მიღებულ იქნეს აქტივის მხარის დანახარჯებისა და შემოსულობათა გამმიჯნავ მუხლებში. თანხა ცალკე უნდა იქნეს წარმოდგენილი და შეიძლება დაფარულ იქნეს გეგმაზომიერი წლიური ჩამოწერების მეშვეობით, რომლებიც გადანაწილდება მთელ პერიოდზე.

6. 4. სადაზღვევო ფონდები უნდა ჩაიწეროს მხოლოდ იმ თანხის ოდენობით, რომელიც გონივრული კომერციული შეფასებით აუცილებლად მიიჩნევა.

7. მოგებისა და ზარალის ანგარიშის სტრუქტურა

7. 1. მოგებისა და ზარალის ანგარიშში, თუ დარგი არ ითვალისწინებს სხვაგვარ სტრუქტურას, წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით ცალკე უნდა აღინიშნოს შემდეგი მუხლები:

1. პროდუქციის მიწოდებიდან, სამუშაოებისა და მომსახურების შესრულებიდან მიღებული ამონაგები
2. მზა პროდუქციის ან ნახევარფაბრიკატების მდგომარეობის გაზრდა ან შემცირება საწყობში
3. საკუთარი ძალებით შესრულებული სხვა აქტიური სამუშაოები
4. მთელი შესრულებული სამუშაო
5. ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალებისა და საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯები
6. საერთო შემოსავალი, საერთო ხარჯი
7. შემოსავლები საწარმოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოგების ან მისი ნაწილის მიღებიდან
8. სხვა საწარმოებში მონაწილეობებიდან მიღებული შემოსავლები
9. სხვა ფინანსური დაბანდებებიდან მიღებული შემოსავლები
10. სხვადასხვა პროცენტები და მსგავსი შემოსავლები
11. ძირითადი საშუალების საგნების გაყიდვიდან და ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან (ფასმატებიდან) მიღებული შემოსავლები
12. მოთხოვნების საერთო ფასშესწორებების შემცირებიდან მიღებული შემოსავლები
13. სოციალური უზრუნველყოფის ფონდების გაუქმებიდან მიღებული შემოსავლები
14. სხვა შემოსავლები, მათ შორის გაუთვალისწინებელი
15. საკუთარ თავზე სხვისი ზარალის აღებიდან შემოსავლები
16. ხელფასები და გასამრჯელოები
17. სოციალური გადასახდელები
18. გადასახდელები მოხუცებულთა უზრუნველყოფისა და დახმარებისათვის
19. მატერიალური და არამატერიალური საშუალებების ჩამოწერები და ფასშესწორებები
20. ჩამოწერები და ფასშეწორებები ფინანსურ დაბანდებებზე იმ თანხების გამოკლებით, რომელიც მოთხოვნების საერთო ფასშესწორებებში იქნა დადგენილი
21. ზარალი ფასეულობათა მიღებისას გამოვლენილი დანაკლისებითა და დანაკარგებით, გარდა მარაგებისა (აქტივის მხარე გ (2), და გადარიცხვები საერთო ფასშესწორებებში
22. ძირითადი საშუალების საგნების დანაკარგებიდან მიღებული ზარალი
23. პროცენტები და სხვა მსგავსი გასავლები
24. საკუთარ თავზე სხვისი ზარალის აღებით გამოწვეული დანახარჯები
25. სხვა გასავლები
26. დასაბეგრი მოგება
27. მოგების გადარიცხვა კონცერნში
28. გადასახადები
29. წლიური წმინდა მოგება/წლიური ზარალი
30. გასული წლის მოგება ან ზარალი
31. ხარჯის გაწევა სარეზერვო ფონდებიდან
    - ა) კანონით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან
    - ბ) ნებაყოფლობითი სარეზერვო ფონდიდან
32. გადარიცხვები წლიური წმინდა მოგებიდან ფულად რეზერვებში
    - ა) კანონისმიერ რეზერვებში
    - ბ) თავისუფალ ფულად რეზერვებში
33. საბალანსო მოგება/საბალანსო ზარალი

7.2. თუ მეწარმეს არ წარმოექმნება რომელიმე მუხლში გათვალისწინებული გასავლები ან შემოსავლები, მაშინ ამ მუხლების მითითება არ არის აუცილებელი.

7.3. თუ გასავალ-შემოსავლები სხვა მუხლებშია აღნიშნული, ვიდრე ანალოგიური გასავლები და შემოსავლები გასული სამეურნეო წლის მოგება-ზარალის ანგარიშში, მაშინ ეს უნდა აღინიშნოს მოგებისა და ზარალის ანგარიშში მასზე მოსული ღირებულების მითითებით.

8. მოგებისა და ზარალის ანგარიშის ცალკეული მუხლების ნორმები

8.1. ამ ბალანსის 7.1.1 მუხლში აღნიშნული შემოსავალი არის შემოსავალი, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ტიპიური პროდუქციისა და საქონლის გაყიდვით ან სარგებლობის დათმობით, აგრეთვე საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობისათვის ტიპიური მომსახურებების გაწევით, გადასახადისა და შემოსავლის შესწორებათა გამოქვითვით.

8.2. 7.1.2 მუხლში მითითებულ ქონებრივ ცვლილებად მიიჩნევა როგორც რაოდენობრივი, ასევე ღირებულებითი ცვლილება; ამასთან, ჩამოწერები მხოლოდ მაშინ ითვლება ქონებრივ ცვლილებად, თუ ისინი არ აღემატება საწარმოში მიღებულ ჩვეულებრივ ჩამოწერებს.

არაგეგმიური ჩამოწერები, აგრეთვე ჩამოწერები, რომლებიც გონივრული კომერციული შეფასებით, აუცილებელია უახლოეს მომავალში ფასების მერყეობით გამოწვეული ფასცვლილებათა თავიდან ასაცილებლად, ცალკე უნდა იქნას აღნიშნული ან დანართში მითითებული.

შემოსავალ-გასავლები მეწარმეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოგების ან მისი ნაწილის მიღებიდან ცალკე უნდა აღინიშნოს შესაბამისი სახელწოდებით.

„გაუთვალისწინებელი შემოსავლების“ და „გაუთვალისწინებელი გასავლების“ მუხლებში უნდა აღინიშნოს ის შემოსავალ-გასავლები, რომლებიც არ წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის შედეგად. მათი თანხისა და სახეობის შესახებ მუხლები მოცემული უნდა იყოს დანართში, თუკი მათ შემოსავლების მდგომარეობის შეფასებისთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა არა აქვთ. ეს წესი მოქმედებს აგრეთვე იმ შემოსავლებისა და გასავლების მიმართ, რომლებიც მიეწერება სხვა სამეურნეო წელს.

8.3. მოგების გადარიცხვისა და მოგების ნაწილობრივ გადარიცხვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემოსავლისაგან უნდა იქნეს გამოყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაცია საწარმოს გარეთ მდგომი პარტნიორისთვის; თუ იგი აღემატება შემოსავალს, მაშინ ეს ზედმეტი თანხა უნდა აღინიშნოს საკუთარ თავზე ზარალის მიღებიდან გამომდინარე ხარჯებში. სხვა თანხების გამოყოფა დაუშვებელია.

8.4. გადასახადების სახით უნდა აღინიშნოს ის თანხები, რომლებიც მეწარმემ, როგორც ბეგარავალდებულმა პირმა უნდა გადაიხადოს.

9. საპენსიო გადასახადების აღნიშვნა

წლიურ ბალანსში უნდა აღინიშნოს სამეურნეო წელს გადახდილი საპენსიო გადასახადების, მათ შორის, იურიდიულად დამოუკიდებელი სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციებში გადახდილი თანხა და მომდევნო ხუთ სამეურნეო წელს ყოველი წლისათვის სავარაუდო გადასახადები ამ თანხის პროცენტული გამოსახულებით.

10. საქმიანობის ანგარიშის შინაარსი

10.1. საქმიანობის ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საწარმოს საქმეების მიმდინარეობისა და მდგომარეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენები, რომლებიც მოხდა სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ.

10.2. საქმიანობის ანგარიშში უნდა განიმარტოს წლიური ბალანსიც. ამასთან, შეფასებისა და ჩამოწერის მეთოდები ისე სრულყოფილად უნდა იქნეს მოცემული, როგორც ეს აუცილებელია მეწარმის ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლების შეძლებისამებრ სწორად გადმოსაცემად; ამ მეთოდების მონაცემების შესახებ წინა რომელიმე სამ სამეურნეო წელში შეიძლება საქმიანობის ანგარიშში იყოს მითითებული. ამასთან, საქმიანობის შესახებ ყოველ ანგარიშში დახასიათებულ უნდა იყოს ის განსხვავებები გასული წლის ბალანსისაგან, რომლებიც ხელს უშლის ბოლო წლიურ ბალანსთან შედარებას. კერძოდ, შეფასებისა და ჩამოწერების მეთოდების შეცვლის შედეგად, მათ შორის, არაგეგმიური ჩამოწერებისა ან ფასშესწორებების განხორციელების ჩათვლით, გამოყვანილია წლიური წმინდა მოგება ან წლიური ზარალი, რომელიც აღემატება ან ვერ აღწევს იმ თანხის ათ პროცენტს, რომელიც აღნიშნული ცვლილებების გარეშე გამოყვანილი უნდა ყოფილიყო, მაშინ წარმოდგენილი უნდა იყოს, ეს თანხა, თუ იგი აღემატება საწარმოს კაპიტალის ნახევარ პროცენტს.

10.3. საქმიანობის ყოველ ანგარიშში მოცემული უნდა იყოს:

ა) შენატანების რაოდენობა და ნამატები, რომლებიც რომელიმე პარტნიორმა თავის თავზე აიღო საწარმოს ანდა დამოუკიდებელი ან საზოგადოების უმრავლესობის მფლობელობაში მყოფი საწარმოს ანგარიშისათვის, როგორც დამფუძნებელმა ან ხელმომწერმა ანდა კაპიტალის გაზრდის უფლების მქონე გაცვლის ან წილის მიღების უფლების განხორციელებისას; თუ ასეთი წილი გამოყენებულია სამეურნეო წელს, მაშინ მოხსენიებულ უნდა იქნეს ამის შესახებ მოგებისა და მისი გამოყენების შესახებ მითითებით;

ბ) წილები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს სამეურნეო წელს კაპიტალის ამაღლებისას;

გ) ნებადართული კაპიტალი;

დ) სარგებლობის უფლებები, გაუმჯობესებიდან გამომდინარე უფლებები და სხვა მსგავსი უფლებები, იმ მონაცემების მითითებით, რომლებიც სამეურნეო წელს წარმოიშვა;

ე) პასუხისმგებლობის პირობები, რომლებიც არ ჩანს წლიური ბალანსიდან, მათ შორის, საკუთარი ვალდებულებებისათვის გაცემული გარანტიები;

ვ) ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო ორგანოს ან კომისიის ან სხვა მსგავსი ორგანოების წევრთა მთელი შემოსავლები (ხელფასები, მოგების წილი, გასავლების კომპენსაციები, სადაზღვევო თანხები, პროვიზია და ნებისმიერი სახის დამხმარე ხარჯები) ყოველთვის განცალკევებულად ცალკეული დაწესებულებების აღნიშვნით. მთელ შემოსავლებში შეიტანება აგრეთვე შემოსავლები, რომლებიც კი არ გაიცემა, არამედ გარდაიქმნება სხვა სახის მოთხოვნებად ან გამოიყენება სხვა მოთხოვნების გასადიდებლად. სამეურნეო წლისათვის შემოსავლებს გარდა, უნდა მიეთითოს სხვა სახის შემოსავლებიც, რომლებიც სამეურნეო წელს წარმოიშვა, მაგრამ ჯერ არც ერთ ანგარიშში არაა მითითებული. თუ საწარმოს ხელმძღვანელობის წევრები მეკავშირე საწარმოებიდან იღებენ შემოსავლებს თავიანთი საქმიანობის გამო საწარმოთა სასარგებლოდ ან თავიანთ საქმიანობაზე, როგორც მეკავშირე საწარმოების კანონიერი წარმომადგენლები ან მოსამსახურეები, მაშინ ეს შემოსავლები ცალკე უნდა იქნეს მითითებული.

ზ) ხელმძღვანელობის ყოფილი წევრების ან მათი მემკვიდრეების მთელი შემოსავლები (ანაზღაურებანი, საპენსიო განაცემები, სამემკვიდრეო შემოსავლები და მსგავსი ანაზღაურებანი). თუ ხელმძღვანელობის ყოფილი წევრები ან მათი მემკვიდრეები იღებენ ანაზღაურებებს ან საპენსიო განაცემებს აგრეთვე მეკავშირე საწარმოებიდან, მაშინ ეს შემოსავლები ცალკე უნდა იქნეს მითითებული;

თ) მეკავშირე საწარმოებთან სამართლებრივი და საქმიანი ურთიერთობები, რომელთაც ადგილსამყოფელი აქვთ მოცემულ ქვეყანაში, აგრეთვე ამ საწარმოების სამეურნეო საქმეები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ საწარმოს მდგომარეობაზე;

ი) სხვა საზოგადოებაში მონაწილეობა, რომლის შესახებაც მას ეცნობა; ამასთან, უნდა მიეთითოს, თუ ვის ეკუთვნის წილი და აჭარბებს თუ არა იგი საზოგადოების ყველა წილის მეოთხედ ნაწილს, ან არის თუ არა ის უმრავლესობის წილი.

10.4. ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს კეთილსინდისიერი და საიმედო ანგარიშგების პრინციპებს. ამასთან, ანგარიში შეიძლება არ გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ანგარიშში არ არის საჭირო დეტალების მითითება, თუკი, გონივრული კომერციული შეფასებით, შეიძლება ამ მონაცემებმა საწარმოს ან მეკავშირე საწარმოს მნიშვნელოვანი დანაკლისები მიაყენოს. თუ რომელიმე მონაცემი არ არის მითითებული კომერციული საიდუმლოებების გამო, საქმიანობის ანგარიშში აუცილებელი ნომრების მინიშნებით უნდა მიეთითოს, რომ ამ ნომრის მონაცემებისთვის გამოყენებულია დაცვის პრინციპი.

10.5. საქმიანობის ანგარიშში მითითებული უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო ორგანოს ყველა წევრის, აგრეთვე სამეურნეო წელს ან მის შემდეგ გასული წევრების გვარები და მინიმუმ ერთი სრული სახელი. სამეთვალყურეო ორგანოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და საწარმოს ხელმძღვანელობის შესაძლო თავმჯდომარე აღნიშნული უნდა იყვნენ როგორც ასეთები.

11. რევიზიის საგანი და მოცულობა

11.1. წლიური ანგარიში უნდა შემოწმდეს საბუღალტრო აღრიცხვისა და საქმიანობის ანგარიშთან ერთად ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი კომპეტენტური რევიზორის მიერ (წლიური ანგარიშის შემოწმება). ამ შემოწმების გარეშე დაუშვებელია წლიური ანგარიშის მიღება.

11.2. წლიური ბალანსის შემოწმებამ უნდა დაადგინოს, დაცულია თუ არა კანონისა თუ ხელშეკრულების მოთხოვნები წლიური ანგარიშის შესახებ და საქმიანობის ანგარიშში არსებული მონაცემები ხომ არ გამოიწვევენ მცდარ წარმოდგენას საწარმოს მდგომარეობის შესახებ.

11.3. თუ ხელმძღვანელობა შეცვლის წლიურ ანგარიშს ან საქმიანობის ანგარიშს იმის შემდეგ, რაც მათ წარედგინათ შემოწმების ცნობა, მაშინ ბალანსის შემმოწმებლებმა წლიური ანგარიში და საქმიანობის ანგარიში ხელახლა უნდა შეამოწმონ, თუ ამას მოითხოვს ცვლილება.

11.4. ანგარიშის შემმოწმებლები აირჩევიან პარტნიორებისაგან ხმების უბრალო უმრავლესობით.

12. შემოკლებული ანგარიშგება მცირე საწარმოთათვის

12.1. მცირე საწარმოებს შეუძლიათ ბალანსის ნაცვლად, საინვენტარიზაციო ნუსხის საფუძველზე შეადგინონ ქონების სტატუსი, რომელიც 1.1 პუნქტისაგან განსხვავებით შეიცავს შემდეგ პოზიციებს:

ა. ძირითადი საშუალებები:

I. მატერიალური საშუალებანი

1. საწარმოო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მსგავსი უფლებები და შენობა-ნაგებობები;
2. არასაწარმოო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მსგავსი უფლებები და საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები;
3. მიწის ნაკვეთები და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მსგავსი უფლებები შენობა-ნაგებობების გარეშე;
4. შენობა-ნაგებობები სხვის მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც არ განეკუთვნება პირველ და მეორე ქვეპუნქტებს;
5. მანქანები და დანადგარები;
6. სასამსახურო მოწყობილობები;
7. დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი.

II. არამატერიალური საშუალებანი

1. კონცესიები, ინტელექტუალური საკუთრება და ლიცენზიები;
2. საფირმო ღირებულება;

III. ფინანსური დაბანდებანი

1. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში;
2. ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
3. ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული სესხები, მათ შორის მიწის გირავნობით უზრუნველყოფილი.

ბ. საბრუნავი საშუალებანი:

I. საწარმოო მარაგები:

1. ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები;
2. დაუმთავრებელი წარმოება;
3. მზა პროდუქცია, საქონელი.

II. სხვა საბრუნავი საშუალებანი:

1. მიმწოდებლებზე და მენარდეებზე გაცემული ავანსები;
2. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნები;
3. თამასუქები;
4. ჩეკები;
5. ნაღდი ფული სალაროსა და ეროვნული ბანკის ანგარიშზე;
6. ფულადი საშუალებანი სხვა ბანკების ანგარიშებზე;
7. სხვა მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები;

გ. მინიმუმ ერთწლიანი ვალდებულებანი:

1. სესხები;

მათ შორის, გარანტირებული მიწის გირავნობის უფლებებით;

2. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე, მათ შორის, გარანტირებული მიწის გირავნობის უფლებებით;

3. სხვა ვალდებულებები, მათ შორის, გარანტირებული მიწის გირავნობის უფლებებით.

დ. სხვა ვალდებულებანი:

1. საკრედიტო დაწესებულების მიმართ წაყენებული ვალდებულებები, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან გ პუნქტს;
2. სხვა ვალდებულებანი.

12.2. 7.1 პუნქტში გათვალისწინებული მოგება-ზარალის ანგარიშის ნაცვლად მცირე საწარმოებს შეუძლიათ გააკეთონ შემოსავლისა და გასავლის ანგარიში, რომელიც შეიცავს შემდეგ პოზიციებს:

1. პროდუქციის მიწოდებიდან, სამუშაოებისა და მომსახურების შესრულებიდან მიღებული ამონაგები
2. მზა პროდუქციის ან ნახევარფაბრიკატების მდგომარეობის გაზრდა ან შემცირება საწყობში
3. ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალებისა და საქონლის შესაძენად გაწეული ხარჯები
4. საერთო შემოსავალი/საერთო ხარჯი
5. სხვა საწარმოებში მონაწილეობებიდან მიღებული შემოსავლები
6. სხვა ფინანსური დაბანდებებიდან მიღებული შემოსავლები
7. სხვადასხვა პროცენტები და მსგავსი შემოსავლები.
8. ძირითადი საშუალების საგნების გაყიდვიდან და ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან (ფასმატებიდან) მიღებული შემოსავლები
9. სხვა შემოსავლები მათ შორის გაუთვალისწინებელი
10. ხელფასები და გასამრჯელოები
11. სოციალური გადასახდელები
12. გადასახდელები მოხუცებულთა უზრუნველყოფისა და დახმარებისათვის
13. მატერიალურ და არამატერიალურ საშუალებათა ჩამოწერები და ფასშესწორებები
14. ჩამოწერები და ფასშესწორებები ფინანსურ დაბანდებებზე იმ თანხების გამოკლებით, რომელიც მოთხოვნების საერთო ფასშესწორებებში იქნა დადგენილი
15. ძირითადი საშუალებების საგნების დანაკარგებით გამოწვეული ზარალი
16. პროცენტები და სხვა მსგავსი გასავლები
17. სხვა გასავლები
18. გადასახადები
19. წლიური წმინდა მოგება/წლიური ზარალი

12.3. წესები საპენსიო გადასახადების აღნიშვნის, სამეურნეო საქმიანობის ანგარიშისა და რევიზიის შესახებ მცირე საწარმოთა მიმართ არ გამოიყენება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 28 ოქტომბერი, 1994 წელი.

გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ განცხადება

ყოველდღიური გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“, როგორც ამას ადვილად შეამჩნევდა მკითხველი, საკმაო ხანია, არარეგულარულად გამოდის, რაც საზოგადოების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. არც სხვა გაზეთებს აქვთ დალხინებული მდგომარეობა, მაგრამ ჩვენი ამ ფონზეც განსაკუთრებულია: მაგალითად, გასული პარასკევიდან მიმდინარე კვირის ხუთშაბათამდე არ გამოსულა არც ერთი ნომერი; იმავე პარასკევიდან სამშაბათამდე არ აწყობილა არცერთი სტრიქონი.

გაზეთის რედაქცია საჯაროდ აცხადებს, რომ მიზეზთა მიზეზი ამ შემთხვევაში, არის გამუდმებული შეფერხებები ელექტროენერგიით მომარაგებაში და ამ საქმეზე გამწესებულ იმ ადამიანთა, მეტი რომ არ ვთქვათ, უპასუხისმგებლობა, რომლებზეც არავითარი არც არგუმენტი ჭრის, არც თხოვნა. რედაქცია ამას ასე ხაზგასმით არ აღნიშნავდა, საქმე რომ მხოლოდ სავალალო საერთო ფონს ეხებოდეს, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში, სინათლე არ არის, ან დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ქრება მაშინაც, როდესაც გვერდით შენობებში იგი არის — მაგალითად, გამომცემლობაში (თუმცა, იქაც დროგამოშვებით), სადაც ბევრი გაზეთი ისტამბება, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯიხურებით მჭიდროდ დასახლებულ უბნებზე, სადაც სინათლე ყოველთვის არის! შეინიშნება, კიდევ ერთი ტენდენცია: ჩვენი გაზეთი ვერ გამოდის იმ დღეებში, როდესაც დედაქალაქში სტუმრობენ უმაღლესი რანგის უცხოელი ვიზიტიორები.

რედაქცია იძულებულია განაცხადოს, რომ ვიღაცას არ სურს, საქართველოში გამოდიოდეს რუსულენოვანი გაზეთი. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეს საბოტაჟი ქმნის ვაკუუმს ჩვენი ქვეყნის საინფორმაციო კავშირში გარე სამყაროსთან.

ხსოვნა



გრიგოლ პავლიაშვილი

ქართველ პოლიგრაფისტთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პოლიგრაფისტი გრიგოლ (გრიშა) სპირიდონის ძე პავლიაშვილი.

69 წლისა გარდაიცვალა კაცი, რომელმაც, თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება ლინოტიპთან გაატარა, ქართული ანბანის სიყვარულს შეალია და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

გრიშა პავლიაშვილი 1949 წლიდან მუშაობდა ჩვენს გამომცემლობაში. იგი ისეთ ლინოტიპისტად ითვლებოდა, რომელიც, ზოგჯერ, იქით უსწორებდა ავტორს ნაწერს და ნააზრევს.

თავისი საქმის ჭეშმარიტ ოსტატს მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული მთავრობისაგან, მაგრამ მისი ყველაზე დიდი ჯილდო იყო თანამშრომლებისა და ავტორების — ცნობილი ჟურნალისტების, მწერლების, პოეტების სიყვარული, რომელსაც იგი ყოველთვის გრძნობდა.

ბოლო წლებში ავადმყოფობამ დაჩაგრა გრიშა პავლიაშვილი, მაგრამ გული არაფერზე გაუტეხია, ვაჟკაცურად შეეგება სიკვდილსაც.

ნათელი დაადგეს!

გამომცემლობა „სამშობლოს“ კოლექტივი.



ოთარ კუბლაშვილი

გარდაიცვალა რესპუბლიკის მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი ოთარ იასონის ძე კუბლაშვილი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1952-1965 წლებში იგი მუშაობდა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ხოლო 1965 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე — თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკაში საამქროს უფროსად, წარმოების უფროსად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ.

ბატონი ოთარი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით. იგი იყო უაღრესად გულისხმიერი, კეთილსინდისიერი, საქმის ერთგული, თავმდაბალი, უანგარო, ახალგაზრდა კადრების აღმზრდელი ადამიანი.

ღვაწლმოსილი მუშაკის ოთარ კუბლაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და თანამშრომელთა გულში.

კამვოლური დართვის ფაბრიკის კოლექტივი.



დიმიტრი (დიტო) შქენტი

შენი ადამიანური თვისება უანგარო სიყვარული იყო. შენისთანები მარტო თავს კი არა, გვარსა და ქვეყანას უკვდებიან... მუდამ ხალისიანი იყავი, უზომოდ მოსიყვარულე დედის, ცოლ-შვილის, დის, დედის, დედაშვილების, მეგობრებისა. ცუდ კაცშიაც კი სიკეთის მარცვალს ეძებდი, თითქოს გინდოდა ყველა შენსავით კეთილი გულისა ყოფილიყო... ვაგლახ, რომ არ დაგინდო ბედისწერამ, ულმობელმა სიკვდილმა...

შენი მოულოდნელი სიკვდილით გამოწვეული ელდა ჩემთვის იმდენად მძიმე, მოულოდნელი და გამაოგნებელია, რომ, მგონია, ყოველ წუთს გამოჩნდები ჩვენს სანათესაოში — მხიარული, ლაღი, ბედნიერი სახით გაცისკროვნებული... ვაი რომ, ასე არ არის...

ჩემთვის ტკივილები უცხო არ არის, უხვად დამებედა მწუხარება, მაგრამ შენ მაინც ყველაზე მძიმე და მოულოდნელი აღმოჩნდი, ჩემო დიტო... ტკივილს დრო აყუჩებს, — ვერ გაყუჩდება შენი სიკვდილით მოყენებული ტკივილი, ჩემო ძვირფასო...

უკვე ორმოცი დღე გასულა... აღარა ხარ შენს ცოლ-შვილთან, ახლობლებთან, მეგობრებთან. შენი სული ცაშია — ნათელი დაადგეს — სახელს კი დიდხანს არ დავივიწყებთ და გავუფრთხილდებით.

შენი დედა **იზო ჩხიკვიშვილი.**

მეუღლე კვირიკე, შვილები ბიჟუნა, ზურაბ, ნაირა კეკელიები, ძმები ბეგო, დათიკო დარჯანიები, რძლები დოდო რურუა, მიმოზა ჯობაძე, სიძე ვაჟა რურუა, მული გოგოლა, შვილიშვილები ნინო, ანა, არჩილ კეკელიები, მარიამ რურუა და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქენია სტეფანეს ასული დარჯანია-კეკელია

დაკრძალვა 20 ნოემბერს ბანძაში (მარტვილის რ.).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თანამშრომლის ნაირა კეკელიას დედა

ქენია სტეფანეს ასული დარჯანია-კეკელია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, ზ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-82-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ ხარისხის კონტროლს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

გამარჯვებაც ამას ჰქვია!

საქართველო — (ეროვნული ნაკრები)

უელსი — (ეროვნული ნაკრები)

5:0 (2:0)

16 ნოემბერს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგი (მესამე) შეხვედრა ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდი VII ქვეჯგუფში ასპარეზობს. ამჯერად ქართველ ფეხბურთელებს საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავდათ უელსის ეროვნული ნაკრების სახით. ამ მატჩამდე ორი წაგებით და 0 ქულით ვიყავით მისული, თანაც მეტოქის კარში ბურთიც არ გვქონდა გატანილი. უელსელებთან შეხვედრაში კი საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს, როგორც იტყვიან, „მადა გაეხსნათ“ და პირდაპირ დაცხრილეს მეკარე საუთჰოლის კარი. მატჩი დამთავრდა ქართველი ფეხბურთელების სასარგებლოდ გამანადგურებელი ანგარიშით 5-0. გოლები: ქეცბაია (31, 49 წთ.), ქინქლაძე (40 წთ.), გოგრიჭიანი (59 წთ.), შოთა არველაძე (67 წთ.).

საქართველოს ნაკრებმა ამ მატჩში შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა: **დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე (ინალიშვილი), გოგრიჭიანი, ქეცბაია (ყაველაშვილი), ქინქლაძე.**

ვულოცავთ ქართველ ფეხბურთელებს ამ ბრწყინვალე გამარჯვებას!